# შირაქი

SHIRAKI

გამოცემის 85-ე წელი

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№29 (10.036)

13—20 აგვისტო 2022 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


# „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი"...

***2008 წლის აგვისტოს ომიდან 14 წელი გავიდა.***

***ამ თარიღთან დაკავშირებით, დედოფლისწყაროს ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძრიდან ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალამდე სამგლოვიარო მსვლელობა გაიმართა. გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ ნუგზარ პაპიაშვილმა . მემორიალთან აგვისტოს ომში დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი ჩატარდა.***

***ქართველი გმირების ღვაწლზე ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და საკრებულოს წევრმა მიხეილ ბახუტაშვილმა ისაუბრეს.***



ნიკოლოზ ჯანიაშვილი, **დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი:** „14 წელი გავიდა იმ დიდი ტრაგედიიდან, რომელმაც თანამედროვე გმირები შვა. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში გამოჩნდნენ ადამიანები თუ გარკვეული ჯგუფები, რომლებიც ცდილობენ, დააკნინონ 8 აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპული ბიჭების ღვაწლი. მაგალითად, არიან ადამიანები, რომლებიც ამბობენ, რომ თურმე, გიორგი ანწუხელიძე სრულებითაც არაა გმირი, რადგან ის ტყვედ ჩავარდა! ყოფილი პარლამენტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ საკუთარ შვილებს სულაც არ ზრდის იმისთვის, რომ საომარ მოქმედებებს შესწიროს. ამ აბსურდულ განცხადებებზე პასუხი არის დღევანდელი დღე და ჩვენი ერთად ყოფნა, ჩვენი გმირების მშობლებისა და ოჯახის წევრების აქ ყოფნა. ძალიან მიხარია, რომ შარშანდელთან შედარებით წელს გაცილებით ბევრი ადამიანი მოვიდა 8 აგვისტოს მემორიალთან. იმედი მაქვს, რომ მომავალ წელს კიდევ უფრო მეტნი ვიქნებით. სხვანაირად ვერ დავუპირისპირდებით იმას, რაც არის ძალიან საშიში-ქართველი კაცის იდენტობის წაშლა, გმირების პატივისცემა და სამშობლოსათვის თავგანწირვა. და თუ ამ ყველაფრის ნიველირება მოხდა, მაშინ აღარც სამშობლო გვექნება და აღარც ჩვენი იდენტობა. მაგრამ ჩვენ თუ გვეცოდინება, რომ აგვისტოს ომის გმირია დედოფლისწყაროელი გიორგი აბიათარი, რომელიც დედისერთა იყო და კანონით ომში წასვლა არ ეკუთვნოდა, მაგრამ მაინც წავიდა, რადგან სამშობლო მისგან თავდადებას ითხოვდა,მაშინ ისიც გვეცოდინება, რომ ჩვენი ქვეყანა ასეთ გმირებზე დგას. წავიდა და თანამედროვე ღიმილის ბიჭად იქცა. გიორგის მშობლებთან ერთად აქ იმყოფება გოჩა ილურიძის დედა-ქალბატონი მანანა, რომელმაც სამი შვილი პატრიოტად გაზარდა. ჩვენი ვალია, რომ ვისწავლოთ გმირების პატივისცემა და მოვლენებისთვის სწორი სახელის დარქმევა! მხოლოდ ამ გზით იქნება შესაძლებელი ქვეყნის დაცვაც და მომავალი თაობისთვის მაგალითის მიცემაც!"

მიხეილ ბახუტაშვილი, **დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი:**„8 აგვისტო გლოვის დღეცაა და სიამაყისაც. გლოვის დღე იმიტომ, რომ ამისთანა ტალიკ-ტალიკი ბიჭები ჩვენს ისედაც მცირერიცხოვან ერს დააკლდნენ, მაგრამ არის სიამაყის დღეც-ვაცნობიერებთ რა, რომ საქართველოში კვლავ იბადებიან გმირები, ბიჭები, რომლებიც ოცდამეერთე საუკუნეში, სოციალურ სივრცეს სწყდებიან და რეალურად ომობენ სამშობლოსათვის, მზად არიან, საკუთარი სიცოცხლის ფასად დაიცვან ის, რაც წინაპრებმა შემოუნახეს. ჩვენი ერი კი, ამნაირი გმირების მაგალითზე იზრდებოდა და საუკუნეთა მანძილზე გადაურჩებოდა ხოლმე მტრის შემოსევებს. ასე მოვედით აქამდე და ამ ბიჭებმა ღირსეულად გააგრძელეს ეს ტრადიცია ".

მემორიალთან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული გმირების ოჯახის წევრებიც იმყოფებოდნენ. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა მათ მადლობა კიდევ ერთხელ გადაუხადეს.

მოგვიანებით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული გიორგი აბიათარისა და გოჩა ილურიძის საფლავები ყვავილებით შეამკო.

„ჩვენი ქვეყნის თავისუფლება სწორედ მათი და მათნაირი მამულიშვილების დამსახურებაა. მადლობა ასეთი ღირსეული და პატრიოტი შვილების აღზრდისთვის. მათი სახელები ყოველთვის იქნება სამშობლოს განუზომელი სიყვარულისა და მისთვის თავდადების მაგალითი" -განაცხადა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

18 წლის გიორგი აბიათარი სოფელ სამრეკლოს მკვიდრი იყო, 18 წლის გოჩა ილურიძე კი ზემო ქედის. 2008 წლის აგვისტოში ორივე მათგანი საკუთარი სურვილით წავიდა სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად და გმირულად დაიღუპა.

2008 წლის რუსული საოკუპაციო ძალების ინტერვენციის შედეგად 228 მშვიდობიანი მოქალაქე, 170 სამხედრო და 14 პოლიციელი დაიღუპა. საქართველოს 2 232 მოქალაქე დაიჭრა და დაშავდა; საქართველოს ტერიტორიაზე 263 598 დევნილია; საქართველომ კონტროლი დაკარგა 151 დასახლებულ პუნქტზე.

რუსეთმა სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი დამოუკიდებელ ტერიტორიებად გამოაცხადა. „მცოცავი ოკუპაცია", ტერიტორიების მიტაცება და ადამიანების გატაცება დღემდე გრძელდება. საოკუპაციო ხაზთან მაცხოვრებელ საქართველოს მოქალაქეებს გადარჩენისთვის ბრძოლა ყოველდღიურად უწევთ.

ინგა შიოლაშვილი



## „სამშობლოსათვის ყოველდღიური შრომით შევძლებთ ყველაზე დიდ გამოწვევათა დაძლევას“ – პრემიერი

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, დიდგორობის დღესასწაულზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ დიდგორის ბრძოლა და გამარჯვება ჩვენი თითოეული მოქალაქისთვის სახელმძღვანელოა და ქვეყნისა და ხალხის ერთიანობით, სამშობლოსთვის ყოველდღიური შრომით შევძლებთ ყველაზე დიდ გამოწვევათა დაძლევას.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, დიდგორის ველზე არათანაბარი ძალები შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ ჩვენს მხარეს იყო გაუტეხელი სული, ქართული სიმტკიცე, შეუპოვრობა და დავით აღმაშენებლის სიბრძნე და სიმამაცე. „დიდგორის ველზე არათანაბარი ძალები შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ ჩვენს მხარეს იყო გაუტეხელი სული, ქართული სიმტკიცე, შეუპოვრობა, სიმამაცე და რა თქმა უნდა, ჩვენი დიდი მეფის, წმინდა მეფის, დავით აღმაშენებლის სიბრძნე და სიმამაცე.

მე მინდა, კიდევ ერთხელ გავიხსენო ჩვენი ბრძენი პატრიარქის სიტყვები, რომელიც შეიძლება ითქვას, ყველაზე უკეთ გამოხატავს დღევანდელი დღის, ნამდვილი სახალხო დღესასწაულის მნიშვნელობას, - დიდგორი ჯერ კიდევ მოსაგებია! სწორედ, დიდგორის ბრძოლა და დიდგორის გამარჯვება არის სახელმძღვანელო ჩვენი თითოეული მოქალაქისთვის, ჩვენ უნდა გვახსოვდეს, მომავალ თაობას უნდა ახსოვდეს, რომ ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ერთიანობით, სამშობლოსათვის ყოველდღიური შრომით, ჩვენ შევძლებთ ყველაზე დიდ გამოწვევათა დაძლევას, ჩვენი ერის გაერთიანებას და ჩვენი ქვეყნის გამთლიანებას.

კიდევ ერთხელ გილოცავთ დღევანდელ დღეს და გამთლიანებას, გაძლიერებასა და გაერთიანებას ვუსურვებ ჩვენს სამშობლოს. ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!,“- აღნიშნა მთავრობის მეთაურმა.

## აგროსისტემის ელექტრონული რუკა იქმნება

ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ხელშეწყობით, საქართველოს ფერმერთა ასოციაცია საქართველოს აგროსისტემის ელექტრონულ რუკას ქმნის. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოში გაეროს წარმომადგენლობა ავრცელებს. აგრორუკის შექმნა 2020 წელს დაიწყო და თავიდან სატესტო რეჟიმში მხოლოდ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტზე ვრცელდებოდა. მას შემდეგ, ამ დინამიურ და სწრაფად მზარდ რესურსს 50-მდე ლოკაცია, 500-ზე მეტი კომპანია და ორგანიზაცია და 24 საქმიანობის სფერო დაემატა.

საქართველოს ინტერაქტიულ ელექტრონულ აგრორუკაზე უკვე 50-მდე სოფელი და ქალაქია დატანილი. რუკა გუგლის რუკების საფუძველზე შეიქმნა და სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის საკვანძო მოთამაშეების, მათ შორის აგრობიზნესების, ფერმერული მეურნეობების, აგროსერვისების მიმწოდებლების, ფერმერთა ექსტენციისა და ტრენინგის ცენტრებისა და პროფესიული ასოციაციების შესახებ საკმაოდ ვრცელ ინფორმაციას შეიცავს. ბიზნესისა და არასამთავრობო ორგანიზაციების გარდა, მონაცემთა ბაზაში ასახულია სახელმწიფო დახმარების პროგრამებიც, რომლებიც აგროსექტორის განვითარებას ემსახურება.

აგრორუკის მეშვეობით, ინფორმაცია იძებნება როგორც კონკრეტული კომპანიებისა თუ ორგანიზაციების, ისე საქმიანობის სფეროების მიხედვით. მომხმარებლებს შეუძლიათ უშუალოდ დაუკავშირდნენ მათთვის საინტერესო აგრობიზნესს, ხოლო შემდეგ ბაზაში განთავსებული ინფორმაციის ხარისხი და ბიზნეს-ინტერაქციის ეფექტიანობა შეაფასონ.

აგრორუკის შექმნა და განვითარება საქართველოს ფერმერთა ასოციაციის პროექტია, რომელიც ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით ხორციელდება.

„ევროკავშირი ხელს უწყობს ახალი ტექნოლოგიების დანერგვას საქართველოს სოფლის მეურნეობასა და სოფლის განვითარებაში. ციფრულ ტექნოლოგიებს შეუძლიათ სოფლის ცხოვრების გარდაქმნა, ფერმერული საქმიანობის მიმზიდველობის გაზრდა ახალგაზრდა თაობისთვის და ფერმერთა შრომის ეფექტიანობისა და მდგრადობის გაუმჯობესება“, - განაცხადა საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის სოფლის განვითარების, სამოქალაქო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის პროგრამების მენეჯერმა, ქეთევან ხუციშვილმა.

გაეროს განვითარების პროგრამის **(UNDP)** საქართველოში მუდმივი წარმომადგენლის მოადგილის, ანნა ჩერნიშოვას თქმით, სოფლად მომუშავე ბიზნესისთვის ეს კარგი ციფრული ინსტრუმენტია, რომელიც საქართველოს აგროსექტორის განვითარებას ხელს შეუწყობს.

„გაეროს განვითარების პროგრამა „ჭკვიან სოფლის მეურნეობას“ (Smart Agriculture) მხარს უჭერს, რათა საქართველოს ეკონომიკის ციფრულ გარდაქმნას ხელი შეუწყოს. ამ მხრივ, აგრორუკა ახალ საბაზრო შესაძლებლობებთან, საქმიან პარტნიორობასა და ცოდნასთან დაკავშირების გზაა,“ - აღნიშნა ანნა ჩერნიშოვამ.

პროგრამის მნიშვნელობაზე ასევე საუბრობს საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარე ნინო ზამბახიძე: „აგრორუკა აგრო-სასურსათო სექტორის გაციფრულების შესაძლებლობაა. ამ რესურსის მეშვეობით, სოფლად მომუშავე მეწარმეები დისტანციურად დაუკავშირდებიან ერთმანეთს, ხოლო საქართველოს აგრო-სასურსათო სექტორი სათანადოდ იქნება წარმოდგენილი მსოფლიოს ელექტრონულ რუკაზე“, - აღნიშნა ნინო ზამბახიძემ.

## პარლამენტის გენდერული საბჭო დედოფლისწყაროს სტუმრობდა




**პარლამენტში მოქმედი გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს სტუმრობდნენ. გასულ კვირას მათ ცენტრალურ ბიბლიოთეკებში ადგილობრივებთან შეხვედრა გამართეს. შეხვედრა სამ ეტაპად შედგა. პირველი შეხვედრა ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლებთან შედგა, შემდეგ არასამთავრობო სექტორთან, ბოლოს კი საბჭო რიგით მოქალაქე ქალბატონებს შეხვდა.**

როგორც საბჭოს წევრმა ხათუნა (ზაია) კვიციანმა განაცხადა, მსგავსი შეხვედრები ხუთ მუნიციპალიტეტში იმართება. საბჭო უკვე იმყოფებოდა: გორში, თეთრიწყაროში, დედოფლისწყაროში, ქობულეთსა და ამბროლაურში. „ქალებისა და გოგოებისთვის ინფრასტრუქტურის (ტრანსპორტი, ინტერნეტი, წყალი) ხელმისაწვდომობის შესახებ თემატური მოკვლევა მიზნად ისახავს ამ კუთხით არსებული გამოწვევების კვლევას შემდგომში მათი ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით.“

„შეხვედრის სამივე ეტაპი ძალიან საინტერესო გამოდგა. რაც მთვარია, იმდენად აქტუალური საკითხები იყო განხილული, რომ ორივე მხრიდან ინტერაქტიულ რეჟიმში მიმდინარეობდა შეხვედრები. განიხილეს ქალთა დასაქმების მდგომარეობა, ზოგადად, ქალთა ჩართულობა აქტივობებში. საბჭო დაინტერესდა, რამდენად მისდევენ დედოფლისწყაროელი ქალბატონები სპორტსა და აქტიურ ცხოვრებას. გაცილებით აქტიური გამოდგა შეხვედრა არასამთავრობო სექტორთან. ითქვა, რომ არასამთავრობო სექტორში ძირითადად მანდილოსნები არიან ჩართულნი,“ - განუცხადა „შირაქს“ საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელმა მანანა მაჭარაშვილმა.

პარლამენტში მოქმედი გენდერული საბჭოს მიერ აღნიშნული მოკვლევა ხორციელდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ასოცირების შესახებ შეთანხმების მხარდაჭერის პროექტის **(AA Facility)** და ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI), ასევე დიდი ბრიტანეთის მთავრობის **UK aid**-ის ფინანსური ხელშეწყობით.

ილია მარტყოფლიშვილი

## სოფლის განვითარების პროგრამით მირზაანში ტურისტული კოტეჯები დაფინანსდა

**სოფლის განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის, სოფელ მირზაანში კომპანიამ „ეკო ვილაჯიო“ ტურისტული სივრცე მოაწყო. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, სასტუმრო ხის ათ კოტეჯს აერთიანებს, რომელთა მოწყობისათვის ინვესტიციის მოცულობამ შეადგინა 225,000 ლარზე მეტი, მათ შორის სოფლის განვითარების პროგრამის თანადაფინანსება 170,000 ლარია. სასტუმროში დასაქმებული 13 ადგილობრივია.**

„პროგრამის მხარდაჭერით, ახლად გახსნილი სასტუმრო დაათვალიერეს, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის სოფლის განვითარების, სამოქალაქო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის პროგრამების მენეჯერმა ქეთევან ხუციშვილმა, გაერო-ს განვითარების პროგრამის **(UNDP)** პროექტის სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში მენეჯერმა ნოდარ კერესელიძემ და სოფლის განვითარების სააგენტოს საგრანტო — საინვესტიციო სამსახურის წამყვანმა სპეციალისტმა დავით დეკანოიძემ.

სოფლის განვითარების პროგრამით დაფინანსებულია 76 პროექტი, 10,9 მლნ ლარის საინვესტიციო ღირებულებით, მათ შორის, თანადაფინანსება 7.6 მილიონ ლარს აღემატება.

„სოფლის განვითარების პროგრამა“ ქედას, ხულოს, ბორჯომის, ახალქალაქის, თეთრიწყაროს, ყაზბეგის, ლაგოდეხისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში ხორციელდება.

„სოფლის განვითარების პროგრამას“ სოფლის განვითარების სააგენტო **(RDA),** ევროკავშირისა **(EU)** და გაეროს განვითარების პროგრამის **(UNDP)** მხარდაჭერით, „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის“ **(ENPARD)** ფარგლებში ახორციელებს“, — აღნიშნულია სამინისტროს ინფორმაციაში.

## დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება №ბ56.56222217

## დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2022 წლის საშემოდგომო გაწვევის კომისიის შექმნისა და მოქალაქეთა გაწვევის ორგანიზებულად ჩატარების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონი- „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 62-ე მუხლის პირველი პუნქტის „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ „საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, 24-ე მუხლის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2022 წლის საშემოდგომო გაწვევის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 1 აგვისტოს №405 დადგენილების საფუძველზე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. შეიქმნას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო-სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2022 წლის საშემოდგომო გამწვევი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

**ნიკოლოზ ჯანიაშვილი** - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი, კომისიის თავმჯდომარე;

**მამუკა ალადაშვილი** - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

**მალხაზ მერაბიშვილი** - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის წევრი;

**ირინა ზელენსკაია** - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის მდივანი;

**იოსებ ბუთხუზი** - შსს დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველოს უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი;

**ბექა ჯავახიშვილი** - საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი, კომისიის წევრი.

2. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევა განხორციელდეს 2022 წლის 1 აგვისტოდან 2022 წლის 30 დეკემბრამდე.

3. სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვეულ იქნენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 18-დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეები, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, არა აქვთ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადავადების ან სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება.

4. 18-დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ამ ბრძანების ამოქმედების დღიდან ვალდებულნი არიან, გამოცხადდნენ მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში-სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურში რეგისტრაციის/ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მისამართზე: ქ. დედოფლისწყარო, **ჰ. გონაშვილის ქ. №6.**

5. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 18-დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ვალდებულნი არიან, გაწვევის დღისათვის გამოცხადდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურში.**(ქ. დედოფლისწყარო, ჰ. გონაშვილის ქ. №6.)**

6. მოქალაქეთა მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადავადების მოსაკრებელის გადახდა განხორციელდეს გაწვევის მთლიან პერიოდში სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში.

7. ეთხოვოს შსს დედოფლისწყაროს რაიონულ სამმართველოს, აღმოუჩინოს დახმარება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურს იმ წვევამდელთა მოძებნასა და გამწვევ კომისიაზე გამოცხადებაში, რომლებიც არ იძებნებიან ან, სავარაუდოდ, თავს არიდებენ სამხედრო სავალდებულო სამსახურს.

8. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2022 წლის საშემოდგომო გაწვევის კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, ან თუ კომისიის თავმჯდომარეს დროებით არ შეუძლია თავისი მოვალეობის შესრულება, კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

9. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „შირაქში“.

10. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე და გავრცელდეს 2022 წლის 1აგვისტოდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

11. ძალადაკარგულად გამოცხადდეს: დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 9 თებერვლის №ბ56.56220406 ბრძანება „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2021 წლის საგაზაფხულო გაწვევის კომისიის შექმნისა და მოქალაქეთა გაწვევის ორგანიზებულად ჩატარების შესახებ“.

12. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (ქ. სიღნაღი. ცოტნე დადიანის ქ. №15). ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი

**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი**

# მინისტრმა რეინჯერები დააჯილდოვა

***კახეთში რეინჯერთა მსოფლიო დღე აღინიშნა, სადაც ვაშლოვანისა და ლაგოდეხის ნაკრძალების რეინჯერები დააჯილდოვეს. ცერემონია გუდაურის ტრაგედიის გამო რამდენიმე დღით გვიან შედგა. რეინჯერთა პროფესიული დღე, წელს ლაგოდეხის ეროვნულ პარკში აღინიშნა. დედოფლისწყაროდან ჯილდო სამ რეინჯერს გადაეცა. ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებიდან დაჯილდოვდნენ უხუცესი რეინჯერი*** ვაჟა ჩერქეზიშვილი ***და რეინჯერი*** ირაკლი ზალდასტანიშვილი. ***ხოლო ჭაჭუნას აღკვეთილიდან უხუცესი რეინჯერი*** შენგელი მეხრიშვილი. ***მათ მადლობის სიგელი, ფულადი ჯილდო და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.***



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ შამუგიამ რეინჯერებს პროფესიული დღე მიულოცა და სიმბოლური საჩუქრები გადასცა. ღონისძიებას საქართველოს მთავრობის, დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ღონისძიების დროს, სტუმრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპულ გმირებს. შეგახსენებთ, 2011 წლის 23 ივლისს ხანძრის ლიკვიდირების დროს ვაშლოვანის ნაკრძალის რეინჯერი, სოფელ საბათლოში მცხოვრები 52 წლის დურსუნ სურმანიძე დაიღუპა. ის, ბალახზე გაჩენილი ცეცხლის ჩაქრობას დამოუკიდებლად ცდილობდა, რა დროსაც ფეხი დაუცდა და 60 მეტრი სიღრმის კლდეში ჩავარდა. რეინჯერმა სიცოცხლესთან შეუთავსებელი ტრავმები მიიღო და ადგილზე გარდაიცვალა. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულ რეინჯერს პრეზიდენტმა სააკაშვილმა ღირსების ორდენი მიანიჭა. ოჯახს დაეხმარა დედოფლისწყაროს გამგეობაც.

„მინდა მივულოცო ყველა რეინჯერს რეინჯერთა დღე, მადლობა გადავუხადო და ჩემი განსაკუთრებული პატივისცემა გამოვხატო მათ მიმართ, რთული და საპასუხისმგებლო პროფესიის არჩევისა და დაცული ტერიტორიების დაცვაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის. ჩვენი უნიკალური ბუნების საგანძურს 21 ადმინისტრაციულ ერთეულში გადანაწილებული 400-ზე მეტი რეინჯერი იცავს. თითოეული მათგანი, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, რაც გულისხმობს ბრაკონიერობის ფაქტების აღკვეთას, ბუნებრივ და დაუდევრობით გამოწვეულ ხანძრებთან გამკლავებას, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგს, სისუფთავის უზრუნველყოფას და, კომპეტენციის ფარგლებში, ვიზიტორთა დახმარებას. რეინჯერთა მსოფლიო დღე 31 ივლისს აღინიშნება. ამ დღეს წელს დაგვიანებით აღვნიშნავთ გუდაურში მომხდარი ტრაგედიის გამო, რომელმაც ჩვენი თანამოქალაქე 8 გმირი პროფესიონალი შეიწირა“,- აღნიშნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ შამუგიამ.

ვაჟა ჩერქეზიშვილი ***(ვაშლოვანის ნაკრძალის დაცვის განყოფილების უფროსი):*** „რეინჯერის მოვალეობები ძალიან რთულია. ველზე მუშაობა, საველე პირობებთან მორგება იოლი არ არის - ხან სიცხეში, ხან წვიმასა და ყინვაში გვიწევს ჩვენი მოვალეობის შესრულება. ზოგი ფსიქოლოგიურად ვერ უძლებს ამ რეჟიმს, ზოგი - ფიზიკურად. თუ არ გიყვარს ბუნება და არ გესმის რას ემსახურები, ისე წარმოუდგენელია იყო რეინჯერი. უნდა გავიაზროთ, რომ ვიცავთ ჩვენს ბუნებრივ მემკვიდრეობას, რომელიც მართლა უნიკალურია. საქართველოს ფლორა და ფაუნა მსოფლიო დონეზე გამორჩეული და აღიარებულია. ამ მნიშვნელოვან მემკვიდრეობას მოფრთხილება სჭირდება. მე მიხარია, რომ არსებობს ასეთი დღე, რომელსაც რეინჯერთა დღე ჰქვია. სახელმწიფო ყველანაირად ცდილობს, გვერდში დაუდგეს რეინჯერებს. მაქსიმალური კეთდება ჩვენი საყოფაცხოვრებო, თუ სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად. ამ პროცესში და სამსახურეობრივი უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაში ჩვენ გარემოსდაცვითი ორგანიზაციები გვეხმარებიან, როგორიც არის „ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი“, „კავკასიის ბუნების ფონდი“... ბევრი არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციაა, რომელიც ჩვენს სფეროში მოღვაწეობს და გვერდით გვიდგას“.



კაკო ტეტელოშვილი ***(ჭაჭუნას აღკვეთილის ხელმძღვანელი):*** „ჩვენთან ძირითადად დიდი ხნის რეინჯერები მუშაობენ, ამდენად მხოლოდ უხუცესი რეინჯერი წარვადგინეთ ამ ცერემონიაზე. 15 წელზე მეტია ბატონი შენგელი ჩვენთან რეინჯერად მუშაობს. საუკეთესოდ ხასიათდება, კარგი ადამიანია და ჩავთვალეთ, რომ ჯილდოს ის იმსახურებდა. მას მინისტრისგან 300 ლარიანი ფულადი ვაუჩერიც გადაეცა“.

110 წლის წინ, 1912 წელს, საქართველოში პირველი დაცული ტერიტორია - ლაგოდეხის ნაკრძალი შეიქმნა, რომლის ფართობი მხოლოდ 3 500 ჰა იყო. ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები აღმოსავლეთ ევროპაში, კავკასიასა და საქართველოში პირველი დაცული ტერიტორიაა. სწორედ მისი შექმნით იწყება საქართველოში დაცული ტერიტორიების ისტორია და განვითარება. ხოლო ვაშლოვანის ნაკრძალი ერთადერთია, რომელიც ევროპულ დიპლომს მეორე ვადით ფლობს. დღეს საქართველოში 94 დაცული ტერიტორიაა, საერთო ფართობით 800 000 ჰა-მდე, რაც ქვეყნის ტერიტორიის 11.5%-ს შეადგენს. ბუნების დაცვის პროცესში აქტიურად არიან ჩართული რეინჯერები. თითოეული მათგანი, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას.



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტო რეინჯერთა პროფესიულ დღეს 2017 წლიდან აღნიშნავს. წელს, სააგენტომ, დაცული ტერიტორიების დაცვასა და განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, 40-ზე მეტი რეინჯერი დააჯილდოვა მადლობის სიგელითა და ფულადი პრემიით. კომპენსაციები გადაეცათ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული რეინჯერების ოჯახებს.

რეინჯერთა პროფესიული დღე რეინჯერთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ დაწესდა და მსოფლიოში პირველად 2007 წელს აღინიშნა.

ილია მარტყოფლიშვილი

## ულოცავენ!

# ქეთევან ქიმოსტელს!

საყვარელო ქეთინო, 10 აგვისტოს შენ 80 წელი შეგისრულდა. იოლი არ იყო ეს გზა – ხან აღმართიანი, ხან თავდაღმართიანი, სიხარულითა და ტკივილით სავსე, გამარჯვებებითა და წაფორხილებითაც, მაგრამ სიმხნევით, შრომისმოყვარეობით, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით, ერთგულებით გატანილი ცხოვრების ლელო! ზემო ქედელების ქალი და რძალი (ისეთი კარგი იყავ, სოფლიდან ვინ გაგიშვებდა!) მთელი შეგნებული ცხოვრება საკუთარ სოფელსა და ხალხს ერთგულად ემსახურე მაშინ, როცა სოფლის საავადმყოფოში ექთნად მუშაობდი და მაშინაც, როდესაც სოფლის კულტურულ ცხოვრებას ედექი სათავეში. 25 წელი, ზემო ქედის უნიკალური კულტურის სახლის გახსნის დღიდან (1986 წელი), სათავეში ედექი მას და წარუშლელი კვლავაც დატოვე შენს გუნდთან, შენს მეგობრებთან ერთად. მრავალი გასტროლი ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ, მონაწილეობა ოლიპიადებსა და კონკურსებში, ლაურეატის ტიტულის მოპოვება არაერთგზის სულ შენი ხელმძღვანელობითა და ორგანიზებით იყო მიღწეული. ზემოქედელების საამაყო ლოტბარის მაყვალა წიკლაურის და მთელი დასის მხარში დგომით შენ შესძელი ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი უძლიერესი ქართული ხალხური საკრავების ორკესტრი ჩამოგეყალბებინა და მსოფლიო (არ ვაჭარბებ!) გაგეოცებინათ, რომ სოფელს შეიძლება ჰყავდეს 35 და მეტი უნიჭიერესი თვითნასწავლი მუსიკოსი და



ფლობდნენ უძველეს ქართულ ინსტრუმენტებს. მუდამ მადლიერნი იყავით თქვენი კოლმეურნეობის თავჯდომარის, სოციალ;ისტური შრომის გმირის არსენ კობაიძისა, რომელიც ერთგული ქომაგი და ხელშემწყობი იყო სოფელში კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში. თქვენი სპექტაკლები, სკეტჩები, სახასიათო დადგმები ხომ არასდროს დაავიწყდება მაყურებელს. შენ ამ ყველაფრის შემოქმედი და დამცველი იყავი ყველა დროში. ოთხმოცდაათიანმა წლებმაც ხომ შენს მხრებზე გადაიარა, კბილითა და ფრჩხილით იცავდი ტექნიკურ-მატერიალურ ბაზას თუ შენობას გაძარცვისა და განადგურებისაგან, ღამეები კულტურის სახლის კარზე გეძინა... რამდენი რამ გადაიტანე ცხოვრებაში, ყველაზე დიდი სიმწარე გარგუნა ბედმა, როდესაც შენი ნაბოლარა ვაჟი – ვანო ჩოხელი, 21 წლის, თსუ იურიდიული ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი, წარმატებული და პერსპექტიული მოჭიდავე ერთ უმნიშვნელო შეცდომას, ასანთის ერთი ღერის ანთებას შეეწირა მოულოდნელად, არც შემდგომ დაგინდო ბედმა, როდესაც უკურნებელმა სენმა მოულოდნელად წაგართვა უკრაინიდან ჩამოყვანილი, ნალოლიავებელი რძალი... მაგრამ შენმა სიძლიერემ ოჯახს ფეხზე წამოდგომის სტიმული მისცა. თავს გევლებიან მეუღლე, საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში უშანგი ჩოხელი, შვილები – ზურაბი და ზაზა, სოფლის სანაქებო რძალია შენი შვილივით გამოზრდილი ნონა რაჭველიშვილი, 4 შვილიშვილი გყავს, შვილთაშვილსაც მოესწარი და პატარა გოგონა მკლავზე დაიწვინე, თუმცა, დარდი მაინც არ განებებს თავს; შენი ორსახელა შვილიშვილი ილია-ვანო ჩოხელი დღეს უკრაინის ფრონტზე იბრძვის და დედულეთს იცავს. მთელი ოჯახი ლოცულობთ მისი სიცოცხლისა და გამარჯვებისათვის. ასეც იქნება, რადგან ის სიმართლის მხარეს დგას. უფალი გწყალობდეს შენ და შენს მონაგარს; კიდევ ერთხელ გილოცავ დაბადების 80 წლისთავს, კვლავაც მხნეობას და ჯანმრთელობას გისურვებ. გაიხარე!

**მადლიერი მაყურებლის და სამეგობროს სახელით**

ნაირა გორაშვილი

# აგვისტოს ომის გმირები

## გიორგი აბიათარი



**„ჩვენ სიკვდილის არ გვეშინია, ჩვენ სამშობლოს დასაცავად მივდივართ!“ — ასე დაუძახებენ დედებს გიორგი აბიათარი და გოჩა ილურიძე ჯარში წასვლისას, უკვე სამარშრუტო ტაქსიდან...**

გიორგი აბიათარი დედისერთაა, სამხედრო სავალდებულო სამსახური არ ეხება. 18 წელი შეუსრულდება თუ არა, მაინც წავა...

2 თვეც არ იმსახურებს — ომი დაიწყება. მუხლზე პრობლემები ჰქონდა, ომში არ მიჰყავთ, კომისია უნდა გაიაროო. პირველი მანქანიდან ჩამოსვამენ. მეორე მანქანაში ავა და ომში მაინც წავა...

გიორგი აბიათარი კოჯორში დაიბადა 1990 წლის 5 აპრილს, იზრდებოდა დედოფლისწყაროს რაიონში, სოფელ ჯაფარიძეში. დალხენილი ბავშვობა არ ჰქონია. დედისერთა იყო, მაგრამ ოჯახს უჭირდა და ვერ ანებივრებდნენ.

ლიზა აბიათარი, **დედა:** „შრომა უყვარდა, დაუზარელი იყო, მუდამ გვერდში მედგა, დიდი ადამიანივით შრომობდა, რომ წამოიზარდა ცული აილო ხელში, მეზობლებს შეშის ჩეხვაში ეხმარებოდა, ერთი-ორი კაპიკი რომ დარჩენოდა... ძალიან თბილი და მოსიყვარულე ბავშვი იყო, ძალიან უყვარდა მეგობრები...

უყვარდა ფეხბურთი, ჭიდაობა... ხშირად უყურებდა სათავგადასავლო ფილმებს, ამბობდა, მე სიკვდილის არ მეშინია და აუცილებლად უნდა წავიდე ჯარშიო...“

გიორგი აბიათარმა 9 კლასის დამთავრების შემდეგ, კოლეჯში ჩააბარა მექანიზაციის ფაკულტეტზე.

2008 წლის 5 აპრილს გიორგის 18 წელი შეუსრულდა.

დედისერთას ჯარში წასვლა არ ეხებოდა, მაინც წავიდა.

ომში რომ მიდიოდნენ, გიორგი არ მიჰყავდათ, მანქანიდან ჩამოუსვამთ, შემოწმება გაქვს გასავლელიო, მაგრამ მანქანაში მაინც ასულა, შემდეგ უკვე გორში უნახავთ, ტყვია-წამალს რომ ურიგებდნენ“.

გიორგი აბიათარი 8 აგვისტოს, ერედვში დაიღუპა – მტრის ჩამოგდებულმა კასეტურმა ბომბმა იმსხვერპლა.

დედის გულმა იგრძნო თავს დამტყდარი უბედურება. „ჩემმა დისშვილმა შემომაპარა, გიორგი დაჭრილიაო... 11 საათზე დარეკავენ და გვეტყვიან სიმართლესო. თურმე 11 საათს ელოდებიან, რომ მოასვენონ გიორგი. მთელი სოფელი ჩემთან სახლში იყო, მთელი სოფელი ფეხზე იდგა, ერთად მოასვენეს ჩემი შვილი და ილურიძე“-იხსენებს გიორგის დედა.

14 აგვისტოს დავკრძალეთ ჯაფარიძეში. ბიჭები ხშირად ადიან გიორგის საფლავზე... ძალიან რთულია და გაუსაძლისი გიორგის გარეშე ცხოვრება.

ძალიან უნდოდა, რომ სამხედრო ბილეთი მალე აეღო და სასაზღვრო პოლიციაში დაეწყო მუშაობა, ძალიან უნდოდა, რომ ფორმა სცმოდა... ძალიან თბილი და კარგი დედაშვილობა გვქონდა. შვილი რომ მეყოლება, აუცილებლად შენი სახელი უნდა დავარქვაო, მპირდებოდა...

გარდაცვალების შემდეგ დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით. რაიონის ცენტრში გაკეთდა მემორიალური დაფა და მოედანი, რომელსაც „სამშობლოსთვის თავდადებულის“ სახელი დაერქვა...

ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ არა, რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო მენატრება ჩემი შვილი... ერთადერთი ისღა მაცოცხლებს, რომ მისი სულისთვის ვილოცო. მე გამწარებული, მაგრამ მაინც ამაყი დედა ვარ, რადგან გმირი გამიზრდია.

## გოჩა ილურიძე



***გოჩა ილურიძე სულ 18 წლის ბიჭი იყო, სამშობლოს დასაცავად რომ გაიწვიეს და წავიდა ჯარში, უფროს ძმას რჩევაც ჰკითხა, კონტრაქტი ხომ არ გავაფორმოო. ძმამ სპეცრაზმში შესვლა ურჩია. შევიდა.***

***მტერმა მხოლოდ 2 თვე მისცა... და არც დიდი სიყვარულის მოსვლა აცადა, რომელსაც ელოდა...***

ომი დაიწყო...8 აგვისტო. ერედვი. სპეცრაზმელები ჩრდილში ისვენებენ. გადაღლილები არიან, ორი დღეა ფეხით მოდიან. გადაქანცულებს იმედი უნთებთ გულებს – იმედი გამარჯვებისა. კასეტური ბომბი... რამდენიმე წამი... აფეთქება...

გოჩა იქვე, იმ წამსვე დაიღუპა...

გოჩა ილურიძე 1990 წლის 14 თებერვალს დაიბადა. იზრდებოდა დედოფლისწყაროს რაიონში, სოფელ ზემო ქედში.

მანანა ყაბანაშვილი, დედა: „ძალიან სერიოზული ბავშვი იყო, ჭკვიანი, შრომისმოყვარე, ერთი წუთი ვერ ჩერდებოდა, სულ შრომობდა და რაღაცას აკეთებდა. უყვარდა სპორტი, ჭიდაობაზე სიარული უნდოდა, ვერ ვატარეთ... ვერ შევუწყეთ ხელი.... თავისით ვარჯიშობდა სახლში, „გირებით“, „ტურნიკზე“... რაც არ უნდა დაღლილი ყოფილიყო, მაინც გამონახავდა დროს და რამდენიმე წუთი ვარჯიშობდა. სწავლით საშუალოდ სწავლობდა, სკოლა რომ დაამთავრა, სწავლის გაგრძელება არ უფიქრია. ჯარში უნდოდა წასვლა, ჩემი უფროსი ბიჭი ვაზიანში მსახურობს, კონტრაქტორია და მის შემხედვარეს, გოჩასაც თავიდანვე განზრახული ჰქონდა, სავალდებულოს მოხდის მერე, ჯარში დარჩენა კონტრაქტით. ძალიან მშრომელი იყო. არაფერს თაკილობდა, ორთაჭალაში ციხეებს რომ ანგრევდნენ, იქაც მუშაობდა. სოფელში ჯართზე მუშაობდა. თავისი ორი კაპიკი ყოველთვის ჰქონდა. ის კი არა, ჩვენც გვარჩენდა თავისი შემოსავლით...“

ბოლოს 6 აგვისტოს ველაპარაკე, დაგვიმალა, მომატყუა მარნეულში ვართ ნაწილში, ვვარჯიშობთო. ჩვეულებრივ გველაპარაკა, არაფერი ისეთი არ უთქვამს, რომ რამეზე დავეეჭვებულიყავი. უთქმელი ბავშვი იყო, არაფრის თქმა არ უყვარდა... რაც ჯარში წავიდა, მას მერე აღარ მინახავს...

გოჩას დაღუპვის ამბავი გამგეობას შეატყობინეს, მაგრამ ვერავინ ბედავდა ეთქვა დედისთვის - შვილი აღარ გყავსო.

უამრავი ხალხი იყო ჩვენს ეზოში, არ მეუბნებოდნენ სახელს, რომელი დაიღუპა... მერე ჩემმა ნათლიამ მითხრა: გოჩა აღარ გყავთო... გიორგის 10 აგვისტოს გავაგებინეთ ძმის დაღუპვა, ბიძამ დაურეკა და ჩამოიყვანეს. 14 აგვისტოს დავკრძალეთ გოჩა...

არ გადის წუთი და წამი, რომ თვალწინ მისი სახე არ მედგას“...

გოჩას მშობლიურ სოფელში, ყოველ 9 აგვისტოს, გოჩას სახელობის ტურნირს ატარებენ ფეხბურთში...

## თეიმურაზ ბერიძე



***შინდისში, მტრის ალყაში მოქცეულს, სიცოცხლე სნაიპერმა მოუსწრაფა. სწორედ იქ, სადაც გმირმა ზოიძემ და მისმა ნათლიამ აიფეთქეს თავი, რომ ტყვეობაში არ ჩავარდნილიყვნენ. შინდისი შინდისფრად იმ დღეს გმირების სისხლით შეიღება. თემურ ბერიძე დაჭრილი ებრძოდა მტერს, სანამ სამიზნე არ დაადეს. 1974 წლის 17 მაისს დაიბადა ხულოს რაიონში, 2008 წლის 11 აგვიტოს კი შინდისში დაეცა.***

ფუტკარაძე მანანა, მეუღლე: „ბოლოს 11 აგვისტოს დაგვირეკა. მითხრა: სამშვიდობოზე ვარ გამოსულიო, თუმცა, ისიც მითხრა, მამაჩემს და ბავშვებს მიხედეო... თურმე ალყაში იყო, შინდისში, ზოიძემ და მისმა ნათლიამ, რომ აიფეთქეს თავი იმ ტერიტორიაზე. საათნახევარი ყოფილან ალყაში... მერე მითხრეს, როცა ბოლოს დაგირეკა და გითხრა სამშვიდობოს ვარო, მძიმედ დაჭრილი ყოფილა და კვდებოდაო... რკინიგზასთან ახლოს დაღუპულა.

მეუღლეს საუბარი უჭირს, დღესაც ცრემლები ახრჩობს, როცა იხსენებს: „ერთმანეთი კახეთში გავიცანით, სოფელ ფიროსმანში. სტუმრად ვიყავი ჩემს ძმასთან ჩასული და გაცნობიდან 25 დღეში მომიტაცა. რომ გავიცანი თავიდანვე მომეწონა, შევქმენით ოჯახი. ძალიან ბედნიერები ვიყავით... წლისთავზე შეგვეძინა ვაჟი, მაგრამ წლინახევრის რომ იყო, ბავშვს წნევამ დაარტყა და მეტყველება წაართვა. იქიდან მოყოლებული მისი ფიქრი და სამომავლო გეგმები ბავშვის მკურნალობა იყო, ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ბავშვისთვის გვემკურნალა. გეგმები ბევრი ჰქონდა, მაგრამ აღარ დასცალდა უბედურს... ბიჭის მერე გოგო შეგვეძინა. ძალიან მოსიყვარულე მამა იყო, ჩემზე მეტად გამოხატავდა შვილების სიყვარულს და ხანდახან მგონია, რომ ჩემზე მეტად შვილები უყვარდა... ძალიან უყვარდა სიურპრიზების კეთება და ამით ყოველთვის გვანებივრებდა, მეც და ბავშვებსაც.

კონტრაქტით სამსახური 2006 წელს გადაწყვიტა. ეს გადაწყვეტილება კი თავად მიიღო. არც ვინმე ახლობელი გვყავდა, რომ ვინმეს შეეგულიანებინა და არც ნაცნობი, რომ ხელი შეეწყო. ერთ დღესაც ადგა, საბუთები შეაგროვა და განაცხადი შეიტანა. გაუმართლა და მიიღეს. მაშინვე სენაკში გადაანაწილეს. მეორე ქვეითი ბრიგადაში იყო. წოდებით- კაპრალი.

მისი სამომავლო გეგმებიც ჯარს უკავშირდებოდა. მართალია ბოლო პერიოდში ცოტა გადაღლილი იყო, მაგრამ სულ იმას ამბობდა, ამ კონტრაქტს რომ დავამთავრებ ,კიდევ უნდა გავაგრძელოო, მაგრამ ისიც ვერ დაამთავრა და დაგვტოვა მარტო...

სანამ ომი დაიწყებოდა, ქობულეთში ვისვენებდით. სენაკიდან ჩამოდიოდა ხოლმე, ჩვენთან ხშირად იყო. ბოლოსაც ქობულეთიდან 7 აგვისტოს გავაცილე. სახლიდან, რომ გადიოდა, ორჯერ შემოტრიალდა. ბავშვები ჩაკოცნა და მეც გამომემშვიდობა. ორ დღეში დავბრუნდები, შვებულებას ავიღებ და კახეთში წავიდეთო, მაგრამ ომი დაიწყო და... იმის მერე თვალით აღარ მინახავს...

ტელეფონით 8 აგვისტოს ველაპარაკე და 9 აგვისტოს ვერაფრით ვერ ვუკავშირდებოდით, დაკარგული იყო. ამ დროს ცხინვალში ყოფილა. 10-ში საღამოს დაგვირეკა, დაგვამშვიდა. უკანასკნელად კი 11-ში ველაპარაკე, „სამშვიდობოს ვარო“- თურმე მტრის ალყაში ყოფილა.

გიჟივით დავიწყე რეკვა იმ სატელეფონო საუბრის შემდეგ და ველარ ვუკავშირდებოდი, გული ძალიან ცუდს მიგრძნობდა. რამდენიმე დღე გაურკვევლობაში და მოლოდინში ვიყავი ან ახლა დარეკავს ან ახლამეთქი, მაგრამ უკვე ცოცხალი აღარ იყო... 16 აგვისტოს გავიგეთ, რომ დაიღუპა. პატრიარქი რომ შევიდა მიცვალებულების გამოსაყვანად, ჩემი მეუღლეც მაშინ გადმოასვენეს. მალევე ამოიცნეს და პირდაპირ კახეთში ჩამოასვენეს.

თემური რომ გარდაიცვალა, ჩვენი პატარა გოგონა 5 წლის იყო... ბედნიერი არა ვარ, მაგრამ ამაყი ვარ, რომ გმირის მეუღლე მქვია და გმირის შვილებს ვზრდი.“

2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული გმირი თეიმურაზ ბერიძე 5 წლის შემდეგ, მშობლიურ მხარეში გადმოსვენეს და ფერიის პანთეონში დაკრძალეს.

კაპრალი თეიმურაზ ბერიძე 2008 წლის 11 აგვისტოს შინდისში დაიღუპა, იგი საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 6 იანვრის N7 განკარგულებით დაჯილდოებულია მედლით „მხედრული მამაცობისთვის“, მისი სახელის უკვდავსაყოფად კი ბათუმის თვითმმართველობამ 2012 წლის 8 აგვისტოს, მახინჯაურში ერთ-ერთ ქუჩას თეიმურაზ ბერიძის სახელი მიანიჭა.

თეიმურაზ ბერიძეს მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი დარჩა, მისი გარდაცვალების შემდეგ ოჯახი საცხოვრებლად აჭარაში გადავიდა, სწორედ ოჯახის მოთხოვნით დაღუპული სოფელ ფიროსმანიდან ბათუმში გადაასვენეს.

## გიორგი მარსაგიშვილი



გიორგი მარსაგიშვილი, ზემო ქედელი ახალგაზრდა, განსაკუთრებულ დავალებათა მესამე სამმართველოს სწრაფი რეაგირების მოიერიშე ათეულის მეთაურის მოადგილე, იმ გმირებს შორისაა, რომელთა კვალიც ცხინვალში იკარგება.

საქართველოს კანონმდებლობით, თუ ადამიანი ორი წლის განმავლობაში ვერ მოიძებნა, გარდაცვლილად ცხადდება. შესაბამისად, კანონით, გიორგი მარსაგიშვილიც რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულად არის შერაცხული, თუმცა მისი ცხედარი აღმოჩენილი ვერ იქნა და მისი გაუჩინარებაც ბურუსითაა მოცული. გიორგი მარსაგიშვილს შს სამინისტროში მუშაობა სამი თვის დაწყებული ჰქონდა. განსაკუთრებულ დავალებათა მე-3 სამმართველოში კონკურსის წესით შეირჩა. ოჯახს იგი 2008 წლის ივლისიდან აღარ უნახავს. ომში წასვლამდე ერთი თვე კოდორში იყო მივლინებით. თბილისში 7 აგვისტოს დაბრუნდა და სახლში მისვლაც ვერ მოასწრო, რადგან შს სამინისტროში, ცხინვალში შექმნილი ვითარების გამო, ყაზარმული მდგომარეობა გამოაცხადა.

გიორგი 1981 წლის 28 ოქტომბერს დაიბადა დედოფლისწყაროში. პატრიოტი ახალგაზრდა აგვისტოს ომში პირველივე დღეებში უგზო-უკვლოდ დაიკარგა. მას მეუღლე და ერთი შვილი დარჩა, ლიზი.

ალინა მარსაგიშვილი, **გიორგი მარსაგიშვილის მეუღლე:** „გიორგი ერთი თვე ნანახიც არ გვყავდა. კოდორში იყო. იქიდან ჩამოსვლა მოასწრო, სანამ სიტუაცია გართულდებოდა, მაგრამ ჩამოვიდა თუ არა, ყაზარმული გამოცხადდა. სახლში მოსვლა ველარ მოასწრო, წავიდა ომში და იქიდან აღარ დაბრუნებულა. დიახ, ეს იყო ძალიან დიდი გმირობა. ის მოხევე იყო, სისხლი და ჯიში მაინც თავისას შვრება, ეს მამაცობა მას გენში ჰქონდა. შეიძლება გრძნობდა კიდეც საფრთხეს, ბოლო პერიოდში აკვიატებული ჰქონდა, მე მთებში უნდა დავიმარხოო.

**- როგორ ფიქრობთ, მისმა ქვეყანამ დაუფასა გმირობა თქვენს მეუღლეს?**

- დიახ, ძალიან დიდ ყურადღებას ვგრძნობთ შს სამინისტროს მხრიდან. საჩუქრად ბინა გადმოგვცეს, დამასაქმეს. ბავშვზე ზრუნავენ, კარგ სკოლაში მიიყვანეს და ყოველთვის იზიარებენ ჩვენს გასაჭირს და პრობლემებს.

**- როცა ადამიანს არა აქვს საფლავიც კი და ის ცხადდება გარდაცვლილად, ალბათ, ერთის მხრივ ძალიან მძიმეა, მაგრამ არის თუ არა ეს დამაიმედებელი გარემოება თქვენთვის?**

- როცა ადამიანს არ დაასაფლავებ, მაინც რაღაც გულის სიღრმეში არის და სანამ ვიცოცხლებთ, გვექნება იმედი, რომ ოდესმე გამოჩნდება.

ევროკავშირი საქართველოსთვის
ENPARD

DEDOPLISTSKARO LOCAL ACTION GROUP

*მწვანე რეგიონები* *Green Regions*

UNDP

# განახლებადი ენერგიები – ჩვენი ენერგოუსაფრთხოების გარანტი

მსოფლიო საზოგადოება ახალი გამოწვევის წინაშე დგას. დედამიწაზე კლიმატი სწრაფად იცვლება. ამ საგანგაშო პროცესის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ტრადიციული ენერგეტიკა და სულ უფრო მზარდი ენერგომოხმარებაა. კლიმატის ცვლილება კი, თითოეულ ჩვენგანს და მომავალ თაობას ეხება, რადგან მასზეა დამოკიდებული ბუნებრივი კატასტროფების სიხშირე, მოსავლის მოსვლა-არმოსვლა, სასმელი წყლის არსებობა და ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა სფერო. კლიმატის ცვლილების უარყოფითი შედეგები უკვე აისახა დედოფლისწყაროზე, კერძოდ, წყლის მარაგის, მოსავლიანობის შემცირება, ქარების მომატება და სხვა. სპეციალისტების აზრით, კლიმატის შესარბილებლად აუცილებელია ენერგომოხმარების შემცირება და განახლებადი ენერგიების გამოყენებაზე სწრაფი გადასვლა.

საქართველო მზის ქვეყანაა. როგორც სპეციალისტები ამბობენ, დედოფლისწყარო გამორჩეული მუნიციპალიტეტია იმ თვალსაზრისით, რომ მზის ელექტროსადგურების ასამუშავებლად აქ ყველაზე ოპტიმალური კლიმატური პირობები არსებობს.




დედოფლისწყაროში მიმდინარე პროექტით - ,,ინოვაციური მიდგომები - განახლებადი ენერგიის ოაზისები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში“, გათვალისწინებულია მზის პანელების გამოყენება შინამეურნეობებისთვის, თუმცა, ეს საკითხი არანაკლებ მნიშვნელოვანია ბიზნეს სექტორისთვის, განსაკუთრებით იმ სეგმენტისთვის, ვინც საკმაოდ ბევრ ენერგიას მოიხმარს და შესაბამისად, ძვირი უჯდება მომსახურების სერვისის მიწოდება ან პროდუქტის წარმოება. სწორედ ამ მიზნით მოხდა პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის შეხვედრა ბიზნესსექტორში დასაქმებულ ადამიანებთან, სასწავლო ცენტრში „სპექტრი“.

პროექტის ხელმძღვანელმა ანა ბენაშვილმა მოკლედ გააცნო მათ გაეროს პროგრამის და „ლაგის“ პროექტის მიზნები და ამოცანები. განახლებადი მზის ენერგიის გამოყენების არსებული შესაძლებლობები და მასთან დაკავშირებული სიკეთეები. ხოლო სპეციფიკურ საკითხებზე ამომწურავი პასუხების მისაღებად ისინი დაგეგმილ სემინარებზე მიიწვია, სადაც ისინი გაეცნობიან სხვადასხვა თემატურ მიმართულებებს და მიიღებენ საექსპერტო რჩევებს.



ანა ბენაშვილი, „ლაგ“-ის ხელმძღვანელი: - „ევროკავშირის მიერ დაფინანსებული გაეროს განვითარების პროგრამა " სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში " (IRDG) სრულად პასუხობს საქართველოს სოფლის გამოწვევებს და ადგილობრივი თვითმმართველობების და სამოქალაქო ორგანიზაციების დახმარებით ცდილობს, ეროვნული სამოქმედო გეგმების და მასთან დაკავშირებული პროგრამების ეფექტური განხორციელებით, მიაღწიოს დასახული მიზნების შესრულებას რეგიონულ დონეზე. დედოფლისწყაროს ადგილობრივი განვითარების ჯგუფი - ,,LAG“, საქართველოს ლაგების ასოციაციის წევრია და გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქოლგის ქვეშ, აქტიურად მუშაობს საქართველოში ევროპული „ლიდერ“ მიდგომის (ქვემოდან -ზემოთ) მეთოდოლოგიის დანერგვაზე და ხელს უწყობს ეროვნული პოლიტიკის გატარებას ადგილობრივ დონეზე. ის სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული და საერთო ინტერესებით მუშაობს. ცდილობს გააუმჯობესოს სოფლად საცხოვრებელი გარემო ეკონომიკური დივერსიფიკაციის, ადგილობრივთა დასაქმების და მომსახურების სფეროს განვითარების გზით, ხელი შეუწყოს ბუნებრივი რესურსების მდგრად მართვას, განახლებადი ენერგიების გამოყენებას და კლიმატის გამოწვევების დაძლევას. ტრადიციული ენერგო რესურსები (მაგ. ნავთობი, ბუნებრივი აირი, ქვანახშირი) ამოწურვადია და მისი გამოყენება, გარკვეულწილად, აზიანებს საცხოვრებელ გარემოს. ამიტომ განახლებადი ენერგიების დანერგვის ხელშეწყობა ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა. ევროკავშირთან დაახლოების პროცესში ჩვენს ქვეყანას აქვს კონკრეტული გეგმები და განვითარების სტრატეგია CO-ს შემცირების კუთხით. თანაც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია არის ხელმომწერი დოკუმენტზე „მერების შეთანხმება ეკონომიკური განვითარებისთვის“, რაც თანხვედრაშია ,,პარიზის შეთანხმება“-სთან. ამ შეთანხმების მიზნები სრულ შესაბამისობაშია საქართველოს ეროვნული განვითარების პრიორიტეტებთან, როგორიცაა ენერგოეფექტურობის ამაღლება, ენერგოუსაფრთხოება და სხვა. აქვე განვმარტავთ, რომ განახლებადი ენერგია არის ენერგია, რომელიც წარმოიქმნება განახლებადი, არაწიაღისეული ენერგიის წყაროებიდან და რომლებიც ივსება ადამიანის სიცოცხლის განმავლობაში. განახლებადი ენერგიის გამოყენებას სოფლად აქვს შესაძლებლობა, შეამციროს სათბურის გაზების ემისიები და შეამციროს საქართველოს დამოკიდებულება წიაღისეულ საწვავზე და იმპორტირებულ ენერგიაზე, რაც ხელს შეუწყობს მისი ენერგომომარაგების უსაფრთხოებას. სოფლის ტერიტორიებს მნიშვნელოვანი როლი აქვთ ეკოსისტემებისა და ბუნებრივი კაპიტალის შესანარჩუნებლად. ამიტომ, მნიშვნელოვანია, ეტაპობრივად მოვახდინოთ განახლებადი ენერგოსერვისების დანერგვა და ენერგოეფექტური მასალების გამოყენება როგორც საყოფაცხოვრებო პირობებში, ასევე, ბიზნეს სექტორში. სწორედ ამ მიზანს ემსახურება დედოფლისწყაროში მიმდინარე ახალი პროექტი ,,ინოვაციური მიდგომები - განახლებადი ენერგიის ოაზისები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში“, რაც გულისხმობს მზის პანელების გამოყენებას შინამეურნეობებისთვის. პროექტის ფარგლებში, სამიზნე ჯგუფებისთვის, უკვე ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები და ცნობიერების ასამაღლებელი ტრენინგები/სემინარები, ,,ლაგის“ პარტნიორი ორგანიზაციის- ,,,მწვანე რეგიონები“ ექსპერტთა დახმარებით მზადდება საინფორმაციო ცნობარი კლიმატის ცვლილების, განახლებადი ენერგიების და ენერგოეფექტურების შესახებ. კომპანია „ჰელიოს ენერჯი-ს“ ჰელიო აკადემიაში მზის პანელებისგამოყენების საბაზისო უნარებს დაეუფლა ლაგის წევრი 4 ახალგაზრდა, პროექტის ადგილობრივი კოორდინატორი, რომლებიც სხვადასხვა დონეზე, უშუალოდ იქნებიან ჩართული მიკროელექტროსადგურების მოწყობის საქმიანობებში და მომავალში, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, განახორციელებენ მონიტორინგს ახალ ენერგოსერვისზე და დაეხმარებიან დაინტერესებულ ადამიანებს მზის პანელების გამოყენებით განახლებადი ენერგიის ხელმისაწვდომობაში“.

ინგა შიოლაშვილი



# უშუს გუნდის წარმატება საერთაშორისო ტურნირზე

2-7 აგვისტოს ქ.ბათუმში გაიმართა საერთაშორისო ტურნირი უშუში, სადაც მონაწილეობდა ევროპისა და აზიის 8 ქვეყნის უძლიერესი ნაკრები გუნდები. როგორც გაზეთ „შირაქთან“ გუნდის მწვრთნელი გიორგი ცისკარაული აცხადებს, „საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ხუთი დედოფლისწყაროელი ირიცხებოდა და იცავდა ქვეყნის ღირსებას. ამ ხუთიდან ოთხმა შეძლო მედლის მოპოვება. განსაკუთრებით კარგად იასპარეზა საბა ბუთხუზმა, რომელმაც სომეხი და ყაზახი მეტოქეები აშკარა უპირატესობით დაამარცხა და ტურნირის ჩემპიონი გახდა. საბოლოოდ, დედოფლისწყაროს გუნდის ანგარიშზე 1 პირველი, 1 მეორე და 2 მესამე ადგილია. გამორჩეული იყო ასევე გივი გოჩიტაშვილის გამოსვლა, რომელმაც ყაზახ და სომეხ მეტოქეს შორის მეორე ადგილი დაიკავა. გივი ფინალურ ბრძოლაში მცირე ქულებით დამარცხდა სომეხ მსოფლიო ჩემპიონთან და მსოფლიოს პრიზიორთან, ასევე ევროპის ვიცე - ჩემპიონთან არსენ ბარგრიანთან. თამამად შეიძლება




ითქვას, რომ გივის და არსენის ბრძოლა ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული და გამორჩეული იყო შეჯიბრზე. მესამე ადგილები ლუკა ლიძოკელმა და გიორგი წიკლაურმა დაიკავეს.

**„შეჯიბრი იმით იყო გამორჩეული, რომ ტურნირი, ფაქტიურად, ევროპის ჩემპიონატზე არანაკლები დონის იყო. ჩვენმა სპორტსმენებმა დიდი გამოცდილება მიიღეს. იმედი გვაქვს, მომავალში ავიხდენთ ოცნებას და ჩვენი გუნდის რომელიმე წევრი შეძლებს უშუს მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილეობის მიღებას და საქართველოს ღირსეულ წარმოჩენას საერთაშორისო ასპარეზზე. ამ შედეგების უკან, დამიჯერეთ, უდიდესი შრომა და ენთუზიაზმი დევს.**



გუნდის სახელით დიდ მადლობას ვუხდი უშუს ფედერაციის ხელმძღვანელობას და ნაკრების მწვრთნელებს, ძალიან დიდი მადლობა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს ბატონ ნიკოლოზ ჯანიაშვილს გვერდში დგომისთვის; დიდი მადლობა სპორტის ცენტრის დირექტორს აკაკი ნატროშვილს მხარდაჭერისთვის და ასევე ,ყველა გულშემატკივარს, ვინც მუდამ დაუღალავად ამხნევებთ ჩვენს გუნდს.თქვენი მხარდაჭერა შეუფასებელია“.

„განსაკუთრებით მინდა, კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვა გივი გოჩიტაშვილის გამოსვლას ამ ტურნირზე-მართალია, გივი დამარცხდა ამ ბრძოლაში, მაგრამ მან საუკეთესო ბრძოლა აჩვენა სომეხ მსოფლიო ჩემპიონთან. გივის მეტოქე თავის წონაში ნამდვილად ანგარიშგასაწევი ძალაა ყველა ტურნირზე. მას ორ მსოფლიო ჩემპიონატზე აქვს მედალი მოპოვებული, 2018 წელს ის ჩემპიონი გახდა, 2019-ში კი მესამე ადგილი დაიკავა. მას შემდეგ პანდემიის გამო არ ჩატარებულა მსოფლიო ჩემპიონატი. გივის ბრძოლამ არსენ ბარგრიანთან კიდევ ერთხელ აჩვენა ქალაქ დედოფლისწყაროს გუნდის მაღალი მომზადების დონე“– ამბობს გიორგი ცისკარაული.

# ტურნირი სპორტულ სროლაში




**24 ივლისს დედოფლისწყაროში ჩატარდა გიორგი გონაშვილის სახელობის ტურნირი სპორტულ სროლაში. ტურნირს ტრადიციული სახე აქვს და მას საფუძველი 2018 წლის 15 აპრილს, გიორგი გონაშვილის ხსოვნის პატივსაცემად ჩაეყარა.**

ამჯერად, ტურნირში მონაწილეობდა როგორც ადგილობრივი, ისე სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული 55 მსროლელი. პირველ ადგილზე გასულ მონაწილეს, (გიორგი კუხალეიშვილს) გიორგის მეგობრებისგან გადაეცა სანადირო თოფი, გიორგის სახელობის გარდამავალი მსროლელის ქანდაკება და სხვა სიმბოლური საჩუქრები.

II და III ადგილის მფლობელები (ბაჩო მჭედლიშვილი და ვაჟიკო ყოჩიაშვილი) სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულ მონაწილეებთან ერთად დააჯილდოვეს დედოფლისწყაროელმა ბიზნესმენებმა და მეწარმეებმა.

„გიორგი გონაშვილი, რომელიც სოფელ სამრეკლოში ცხოვრობდა და 2017 წელს-ავტოსაგზაო შემთხვევას ემსხვერპლა, იყო კარგი მსროლელი. მისმა მეგობრებმა გადავწყვიტეთ, გიორგის დაბადების დღეს, 15 აპრილს, დაგვეარსებინა ტურნირი, რომლის მიზანიც გიორგის სახელის უკვდავყოფა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ამ სპორტის განვითარება იქნებოდა. პირველი ტურნირი 2018 წლის 15 აპრილს, დედოფლისწყაროს მასშტაბით, გიორგის სამეგობროს ორგანიზებით ჩატარდა. ტურნირისადმი გამოხატულმა ინტერესმა და სხვადასხვა რეგიონის მონადირეების სურვილმა, მათაც მიეღოთ მონაწილეობა შეჯიბრში, განაპირობა ტურნირის მასშტაბების ზრდა. 2019 წელს მასში უკვე 50 მსროლელი მონაწილეობდა. მონაწილეობაზე დაწესდა სიმბოლური საფასური, რომლითაც გვსურდა ყოველწლიურად გიორგის მცირეწლოვან შვილს დავხმარებოდით, თუმცა გიორგის ოჯახის ინიციატივით, აღნიშნული თანხა ყოველწლიურად, გიორგის სახელით, ხმარდება დედოფლისწყაროში არსებული ეკლესია-მონასტრების საჭიროებებს.

2019 წელს ტურნირიდან შემოსული თანხა მოხმარდა ელია თეზბიტელის სახელობის მამათა მონასტრის კარიბჭის მშენებლობას. 2021 წელს ტურნირიდან შემოსული თანხა მოხმარდა სოფელ სამრეკლოში არსებულ სერაფიმ საროველის სახელობის დედათა მონასტერს. 2022 წელს ტურნირიდან შემოსული თანხა მოხმარდება არხილოსკალოში მშენებარე წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის საჭიროებებს. ყოველწლიურად ტურნირის სიმბოლური გამარჯვებულია სალომე გონაშვილი (გიორგის შვილი), რომელიც 2 წლის ასაკიდან სისტემატიურად ესწრება და მონაწილეობს ტურნირში,“ – განუცხადა „შირაქს“ ტურნირის ორგანიზატორმა ვაჟა ყოჩიაშვილმა.

ყოველწლიურად პირველ ადგილზე გასულ მონაწილეს გადაეცემა გიორგის სახელობის გარდამავალი მსროლელის ქანდაკება, ხოლო მეორე და მესამე ადგილის პრიზიორებს მედლები და სიმბოლური საჩუქრები.

შეჯიბრი მუდმივად მაღალი კონკურენციის ფონზე მიმდინარეობს და დღის ბოლოს გამარჯვებულების გამოვლენა-დაჯილდოება ხდება.

**2018 წლის** გამარჯვებულები არიან:

I ადგილი – პაატა გოგიშვილი

II ადგილი – დავით გოგილაშვილი

III ადგილი – შალე კვიწინაშვილი და ილია ლეკაშვილი

**2019 წელი:**

I ადგილი – ბაჩო მჭედლიშვილი

II ადგილი – გაგა წიკლაური

III ადგილი – კობა რამაზანაშვილი

**2020 წელი:** ტურნირის ჩატარება ვერ მოხერხდა ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობისა და კარანტინის გამო.

**2021 წელი:** I ადგილი – ირაკლი ბულუღაშვილი

II ადგილი – სოსო კობაიძე

III ადგილი – ვაჟა ყოჩიაშვილი

**2022 წელი:** I ადგილი – გიორგი კუხალეიშვილი

II ადგილი – ბაჩო მჭედლიშვილი

III ადგილი – ვაჟა ყოჩიაშვილი

„დედოფლისწყაროში მამაკაცთა დიდი ნაწილისთვის იარაღის სროლა და ნადირობა ერთ-ერთი მთავარი რეკრეაციული აქტივობაა. ცხოველთა სამყაროს არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ნადირობა დაშვებულია მხოლოდ გადამფრენ ფრინველებზე, რაც დედოფლისწყაროში დროის პატარა მონაკვეთს მოიცავს. სანადირო ობიექტების რიცხოვნობა და მათზე სანადიროდ ეფექტური პერიოდი შეუსაბამოდ მცირეა მოსახლეობის მონადირულ აზარტთან და ალტერნატივის არარსებობა, შესაძლოა, იყოს ბრაკონიერობის ძირითადი მაპროვოცირებელი ფაქტორი. ხშირ შემთხვევაში, ახალბედა და გამოუცდელი მონადირეები, თოფის სროლის ჟინის დასაკმაყოფილებლად ესვრიან ყველაფერს, რაც დარბის ან დაფრინავს, მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა სახეობა სანადირო ობიექტს, რასაც ზოგიერთ შემთხვევაში მძიმე შედეგები მოაქვს ბიომრავალფეროვნებისა და აქ არსებული გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობებისთვის. (მაგ: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველწლიურად ფიქსირდება მკვდარი ან დაჭრილი ბექობის არწივი, რომლის რიცხოვნობა საქართველოში კრიტიკულია და გადაშენების საფრთხის წინაშეა)



მსგავსი ქცევა გამოცდილი მონადირეებისთვის კატეგორიულად მიუღებელია, რადგან ნადირობა არის უძველესი კულტურა თავისი ეთიკით, დაუწერელი წესებითა და ტრადიციებით. ბიომრავალფეროვნების კარგი მდგომარეობა პირდაპირპროპორციულია მუნიციპალიტეტის კეთილდღეობასთან, რადგან აქ არსებული უნიკალური სახეობები იზიდავს უამრავ ვიზიტორს, რომელთა სტუმრობას მოსახლეობისთვის აქვს მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტი.

სასტენდო სროლა წარმოადგენს სპორტის იმ სახეობას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია თოფის სროლის აზარტის დაკმაყოფილება ბუნებაზე ზიანის მიყენების გარეშე. გარდა იმისა, რომ ტურნირში მონაწილეობის დროს ახალბედა მსროლელი ეცნობა და ითვისებს იარაღის ხმარებისა და უსაფრთხოების წესებს, ტურნირის მეორე ნაწილი მოიცავს საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრას ბიომრავალფეროვნების, მისი მნიშვნელობისა და კონსერვაციული პროექტების შესახებ, რომელშიც ჩართულები არიან გამოცდილი მკვლევარები და მეცნიერები. მომავალ წელს იგეგმება ამ მიმართულებით მეტი აქტივობები, რომელიც გარდა პრეზენტაციებისა ცხოველთა სამყაროს და მათი არსებული მდგომარეობის შესახებ, მოიცავს მონადირეებისთვის მეტი ინფორმაციის მიწოდებას თემატური წიგნების, ბროშურების, ფრინველთა და ცხოველთა სახეობების სარკვევების სახით. მსგავსი შეხვედრები ხელს უწყობს სამიზნე აუდიტორიაში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას და მათ გაერთიანებას იმ საერთო მიზნის გარშემო, რასაც ჩვენს საარსებო გარემოზე ზრუნვა ჰქვია.

ის მონადირეები, რომელთაც ნადირობის პარალელურად გულწრფელად აქვთ ბიომრავალფეროვნებაზე ზრუნვის სურვილი, ჩავრთეთ ქურციკების მონიტორინგის პროცესში და ისეთ კონსერვაციულ პროექტებში, როგორიცაა კოლხური ხოხბის, კაკბის პოპულაციის აღდგენა და ა.შ. რამდენიმე მათგანმა საკუთარი ინიციატივითაც დაიწყო კონსერვაციული აქტივობები, რაც განსაკუთრებით მისასალმებელია.

ეს სპორტი მსოფლიოში საკმაოდ პოპულარულია. უკანასკნელ წლებში საქართველოშიც შეიქმნა სპორტინგის ლიგა, სადაც წლის განმავლობაში მიმდინარე ტურნირების შედეგების მიხედვით ხდება მაღალრეიტინგული მსროლელების შერჩევა, რომლებიც შემდეგ მონაწილეობენ ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატებზე,“ – ამბობს ვაჟა ყოჩიაშვილი.

„ტურნირის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის გვინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადოთ: სოსო ნატროშვილს - კომპანია **L.T.D SOLE TRANS**-ს, (ორი გამარჯვებული დააჯილდოვა ძვირფასი სანადირო დანებით); სოლომონ მენთეშაშვილს - **Autograph Hotel** - (სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული 3 მონაწილე დააჯილდოვა სასტუმრო „ავტოგრაფის“ 3 ნომრის ვაუჩერით); შოთა შანშიაშვილს - ცაცია ოსტატი - (ყოველწლიურად უზრუნველყოფს ტურნირს მედლებით, სხვადასხვა საჩუქრებითა და საჭირო ინვენტარით) ბექა ნასრაშვილს - „ნასრაშვილების საოჯახო მეღვინეობა“ - (საკუთარი წარმოების ღვინით დააჯილდოვა სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებული 5 მონაწილე); თემურ რამაზანაშვილს - შპს „ქიზიყი“ - (საკუთარი წარმოების სასმელით დააჯილდოვა პირველი 3 ადგილის მფლობელი); ბექა საბიაშვილს და ლევან არაბულს - ფინანსური მხარდაჭერისთვის; მერაბ შანშაშვილს - ტურნირისთვის სასროლი სტენდის ჩუქებისა და მუდმივი მხარდაჭერისთვის. ასევე, „ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციას“ - (ამირან კოდიაშვილს და პავლე თავაძეს) - მათ ტურნირის მონაწილეებს უმასპინძლეს საკუთარ კემპინგზე და კოლხური ხოხბის საშენში, სადაც გარდა ტურნირში მონაწილე მონადირეებისა, იყვნენ დაცული ტერიტორიების, გარემოს დაცვის სხვადასხვა უწყებისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები. მათი აქტიური ჩართულობით წარიმართა მნიშვნელოვანი საუბრები გარემოსდაცვით საკითხებსა და იმ აუცილებელი საჭიროებების შესახებ, რომელიც ჩვენი საერთო საზრუნავია და ამ პროცესში მონადირეების ჩართულობას განსაკუთრებით დიდი დატვირთვა გააჩნია.

ასევე გულწრფელი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ტურნირის ყველა მონაწილეს, რომელთა ძალისხმევითა და უშუალო ჩართულობით ტურნირი ყოველწლიურად ვითარდება და ახალ მასშტაბებს აღწევს! 2022 წელს ტურნირმა მიაღწია განვითარების ახალ ეტაპს, აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს სპორტული სროლის ეროვნულ ფედერაციასთან და 2023 წლიდან ტურნირები ჩატარდება საქართველოსა და საერთაშორისო ჩემპიონატებზე არსებული წესებისა და სტანდარტების მიხედვით“. – აღნიშნავენ ორგანიზატორები.

ილია მარტყოფლიშვილი

# „მე ჩემს მოვალეობას ვიხდი ნებაყოფლობით და არა მადლობისთვის“...

მათ ეზო-კარს და ბაღჩა-ბაღს მშრომელი ადამიანის ხელი, აშკარად, ატყვია. ეზოში ხვიარა „კლემატისის“ მოტკბო სურნელი დგას, ბაღჩაში რიგში ჩარიკრიკებული სამასამდე ძირი პომიდორი მწიფს, მუშტისხელა წითელი და ვარდისფერი პომიდორები მწვანე ფოთლებიდან იჭყიტებიან, მტკაველზე გრძელი კიტრები ხასხასებენ, კომბოსტოების სხვადასხვა ჯიში თავის ჩასახვევად ემზადება, ახლადგამონასკული ქრელი, ზოლიანი ყაბაყები, და გოგრები „თავის დროს“ ელოდებიან, საძროხეში ხბორები ბღავიან, საქათმეში მამალი ყივის,... ამ ყველაფერს კი ყოველდღიურად შრომა სჭირდება, თავდადებული შრომა! შრომისმოყვარეობა ამ ოჯახს დასაბამიდან მოსდევს, იქიდან, როდესაც ჯავახეთში საკუთარი წისქვილების, ფერმების, საძოვრების მქონე მისი პაპა გააკულაკეს, გადაასახლეს და ცალუღლად, უსახსროდ დარჩენილმა ბებიამისმა რვა შვილს ხელი მოჰკიდა და ძმის, **სერგო ყარაგვეზაშვილის** (რომელიც იმ დროს დედოფლისწყაროში ბუღალტრად მუშაობდა, რჩევით ჯაფარიძეში გადმოვიდა საცხოვრებლად, როდესაც ერთ პატარა ქოხში ცხოვრობდნენ და ლუკმა-პურისა და თავის დამკვიდრებისათვის იბძოდნენ, როდესაც მისმა მშობლებმა, **ონისიმე** და **გაიანე ხუციშვილებმა,** ოჯახი შექმნეს, ცალკე კერა გამართეს, ოთხი შვილი – ორი გოგო და ორი ბიჭი გააჩინეს და შვილებს დღე და ღამ სწავლისა, შრომისა და პატიოსნებისკენ მოუწოდებდნენ, როდესაც მათი შვილები სკოლაში საუკეთესოდ სწავლობდნენ და უფროსმა ვაჟმა სკოლის დამთავრებისთანავე უმაღლესში გააგრძელა სწავლა, სწორედ მაშინ შეამჩნია, დააფასა, მიიღო და გულის კარი გაუღო „ჩამოსალებულებს“ სოფელმა. ოჯახი, რომელსაც დღეს ჩვენ ვსტუმრობთ, ონისიმეს და გაიანეს უმცროსი ვაჟის, სულიკო ხუციშვილის, ოჯახი გახლავთ. ახსოვს სოფელს ეს განათლებული, თავისი საქმის მცოდნე, პრინციპული, პატიოსანი კაცი, რომელმაც არცთუ მთლად ია-ვარდებით მოფენილი, ვიმესგან გაკვალული ცხოვრების გზა გაიარა. სკოლა წარჩინებით დაამთავრა, მაგრამ მაშინდელი კანონმდებლობის შესაბამისად, უმაღლესში ჩაბარებისთვის, შრომითი სტაჟის მოსაგროვებლად კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმაში დაიწყო მუშაობა და მთაში თუ ბარში ცხვარს მწყემსავდა. მერე იყო სტუდენტობის დაუვიწყარი წლები, სტუდქალაქში ცხოვრება, სადაც წელიწადში, ქირის სახით, მხოლოდ 19 მანეთს იხდიდა, 35 მანეთი სტიპენდიით თავის გატანა, ლექტორ-მასწავლებლებთან, მეგობრებთან ურთიერთობა და, რაც მთავარია, სპეციალობის ძირფესვიანად დაუფლება, რამაც შემდგომში, მისი ცხოვრების გზის გაკვალვაში გადამწყვეტი როლი ითამაშა. იმდროისათვის ნეპოტიზმით და კორუფციით გაჯერებულ ქვეყანაში მისნაირი „უპატრონო“ ხალხისთვის თავის დამკვიდრება ძნელი იყო. სულიკოსთვისაც ფიანდაზები არავის დაუფენია, უმაღლესდამთავრებული სპეციალისტი ხან სად გადაისროლეს და ხან სად: იყო მეღორეობის, მეცხავარეობის, მევენახეობის ბრიგადის ბრიგადირი. ვიდრე რაიკომის მაშინდელი პირველი მდივნის, ამირან გონაშვილის ბრძანებით, რომლებმაც სწორად შეაფასა მისი შესაძლებლობები, ჯაფარიძის კოლმეურნეობაში, თავისი სპეციალობით, აგრონომად არ დაინიშნა. მაშინ კი ჩვეული შემართებით, ერთგულებით და პროფესიონალიზმით დაიწყო მუშაობა ბატონმა სულიკომ, წარმატებას წარმატებაზე აღწევენ, უხვი მოსავლიანობთ სახელი გაითქვეს ქვეყანაში და ჯილდოს ჯილდოზე ღებულობდნენ. ის კოლმეურნეობების დაშლის მომენტამდე პირნათელად ასრულებდა თავის მოვალეობას. ისე დატოვა ნაამაგარი კოლმეურნეობა, თითზე გადასახვევი არაფერი მიუსაკუთრებია, სუფთად და პატიოსნად წამოვიდა, მაშინ, როდესაც, ვისაც ეკუთვნოდა თუ არ ეკუთვნოდა, დაიტაცა და მიითვისა კოლმეურნეობის ქონება. დაიწყო ქაოსური ცხოვრება - ბრძოლა არსებობისათვის და შრომასნაჩვევი კაცი ისევ თოხსა და ბარს, ხვნასა და თესვას მიუბრუნდა. მხარში ამოიყენა ოჯახი და ცხოვრება გააგრძელა. თუ ზარმაცი არ ხარ, ლუკმა-პურის შოვნა არ გაგიჭირდება, მით უმეტეს სოფელშიო, ამბობდა და სიმდიდრეზე პრეტენზია არ ჰქონდა. მისი კარ-მიდამო, ბაღ-ბოსტანი თუ საოჯახო მეურნეობა მაშინაც ასე დავაცხნილ-დალაგებული იყო... ასე გრძელდებოდა თითქმის სამი ათეული წელი, ვიდრე უკურნებელმა სენმა არ დარია ხელი. თავი გადააკლა ოჯახმა, თითქოს დაუძვრა კიდეც ვერაგ დაავადებას, მაგრამ... ახლა... პანდემიამ მოუსწრო და სწორედ თავისი ქორწინების ორმოცდამეთოთხმეტე წლისთავზე – 29 აპრილს საავადმყოფოში გადაიყვანეს. დასუსტებულმა ორგანიზმა ველარ გაუძლო, ორი კვირა ებძოდა მსოფლიოსთვის თავსდატეხილ ჭირს და... გაეცალა ამ წუთისოფელს – კოვიდმა დაასრულა მისი სიცოცხლე 79 წლის ასაკში. წელს, 1 იანვარს, სულიკო ხუციშვილს 80 წელი შეუსრულდებოდა. მტკივნეულად განიცადა ეს დიდი დანაკლისი მისმა ოჯახმა, მაგრამ არ დანებდა, ცხოვრება გრძელდება და ოჯახს ახლა დედაბოძად სულიკოს მეუღლე ფარლიზი ზირაქიშვილი უდგას. თუმცა, მოდით, ცოტა უკან დავბრუნდეთ. **ვინ არის ქალბატონი ფარლიზი, როგორ მოხვდა ხუციშვილების ოჯახში, რა გზა გაიარა და როგორ მოვიდა დღემდე:**



ფარლიზი 1949 წელს გურჯაანის რაიონის სოფელ ნანიანში დაიბადა, ლიზა ხარაშვილის და ფარნაოზ ზირაქიშვილის ოჯახში. მამა გურჯაანის რაიონის საგზაოს უფროსი გახლდათ, მშრომელი, იუმორით სავსე ადამიანი, რომელიც, ამავდროულად ძალიან მკაცრი და მომთხოვნი იყო – შრომა და მისი ფასი ბავშვმა ოჯახში პატარაობიდანვე უნდა ისწავლოსო და არ ზოგავდა შვილებს, დავალებას დავალებაზე აძლევდა და აკონტროლებდა კიდეც. გვერდში ედგნენ შვილები მამას. ვენახსა თუ მინდორში, საკარმიდამო ბაღჩა-ბაღში. დედა, საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების ექთანი, ძალიან დატვირთული იყო, რადგან კაჭრეთი დიდი მოძრაობის ადგილია და ექსტრემალური შემთხვევბიც ხშირი იყო. ამიტომ, ბავშვები – ორი ძმა და ფარლიზი, შრომას და დამოუკიდებლობას მიეჩვივნენ, რაც ცხოვრებაში ძალიან გამოადგათ. 1966 წელს, კაჭრეთის საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, თბილისის საბიბლიოთეკო სასწავლებელში ჩაირიცხა. ერთხელაც, მატარებლით მგზავრობისას, ერთი ახალგაზრდა ვაჟი გაეცნო და... როგორც იტყვიან, გადაეკიდა, კარსა და ბანს არ უგდებდა, მასზე არც მამამისის მუქარა სჭრიდა, არც იმის მტკიცება, რომ გოგონას ის არ მოსწონდა და არ უყვარდა. მოიტაცებს და გააუბედურებსო, წუხდა ოჯახი. ამ დროს ერთმა კეთილისმსურველმა ჯაფარიძეში მცხოვრები, კარგი ოჯახის შვილის, ზრდილი და განათლებული ახალგაზრდის სულიკო ხუციშვილის გაცნობა შესთავაზა... ეს ამბავი ქორწინებით დაგვირგვინდა.

- ჩვენ არ ვყოფილვართ შეყავრებულები, არ გაგვივლია პაემანზე ხელიხელჩაკიდებულებს, მაგრამ ღმერთმა ყველას მისცეს ისეთი მეორე ნახევარი, როგორიც მე მარგუნა ბედმა. ის შინაგანი კულტურის მქონე, ჰუმანური და მოსიყვარულე ადამიანი იყო პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით. 54 წელი გავატარეთ ერთად და არ მახსენდება მისგან უხეში და უსამართლო დამოკიდებულება. მეორე კურსზე ვიყავი, როდესაც გავთხოვდი, გელა იმავე წელს მეყოლა, წელიწადნახევარში – თინიკოც. ჩვენს სასწავლებელს დაუსწრებელი განყოფილება არ ჰქონდა და სწორედ მეუღლის და ოჯახის მხარში დგომით მოვახერხე სწავლის დასრულება, - მადლიერებით იხსენებს ფარლიზი და ცრემლს ძლივს იკავებს საყვარელი მეუღლის გახსენებისას.

– ახალგაზრდა ქალი მარტო სახლის საქმით არ უნდა იყოს დაკავებული, ის საზოგადოებაში უნდა ტრიალებდესო და, რადგანაც ბავშვები უკვე საბავშვო ბაღში დადიოდნენ, სპეციალობის მიხედვით სამსახურის ძებნაც დაიწყეს. რაისაავადმყოფოს ბიბლიოთეკაში ბიბლიოთეკარის




პოზიცია შესთავაზეს. (გაგიკვირდებათ და დიდ ორგანიზაციებს საკუთარი ბიბლიოთეკები ჰქონდათ, წიგნი და წიგნიერება „მოდაში“ იყო). რამდენიმე წელს იმუშავა იქ და 1978 წელს ჯაფარიძის №16 ბიბლიოთეკაში გადაიყვანეს. (სოფელს ორი – №15 და №16 ბიბლიოთეკა ემსახურებოდა).

– საკმაოდ მდიდარი საბიბლიოთეკო ფონდი გვქონდა, მკითხველიც ბევრი იყო, თითქმის ყველა ასაკის აბონენტი გვყავდა. ყველა სახის ლიტერატურა გვქონდა - პოლიტიკურ-პარტიული, მხატვრული, საგანმანათლებლო... გამორჩეულად კი დაუსწრებელი სწავლების სტუდენტები იყვნენ ბიბლიოთეკებზე დამოკიდებულნი. რამდენჯერ გვიან, ღამითაც გაუხსნევინებიათ ბიბლიოთეკა თემებზე მუშაობისას. ჩემი საკუთარი ბიბლიოთეკიდანაც ბევრჯერ უსარგებლიათ და თბილისში, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის მისამართიც ბევრისთვის მიმიცია (იქ ჩემი ახლობელი მუშაობდა), რომ ხელი გამემართა ახალგაზრდებისათვის. მაშინ, ახლანდელისგან განსხვავებით, განვითარების გზა წიგნზე, თეატრსა და კინოზე გადიოდა! ახლა მარტო კომპიუტერი უდიდეს შესაძლებლობას იძლევა განვითარებისთვის, მაგრამ წიგნის კითხვის ხიბლი და სიამოვნება მაინც შეუცვლელია, – ამბობს ქალბატონი ფარლიზი.

- კარგი თანამშრომლის და კარგი დიასახლისის სახელი დაიმკვიდრა ხუციშვილების რძალმა. ის სანაქებო მასპინძელი იყო სოფელში ჩამოსული სტუმრებისთვის - იქნებოდნენ ისინი კულტურის მუშაკები თუ პარტიული ფუნქციონერები, მეცნიერები, თეატრალური დასები და სხვა.

- უნდა იყოჩაღო, ფარლიზი ქალბატონო, არ შემარცხვინოო, შეუთვლიდა კოლმეურნეობის ცნობილი თავკაცი, სოციალისტური შრომის გმირი ნიკა ყოჩიაშვილი და სტუმრებს თამამად შეუძღვებოდა, რადგან იცოდა, ყველაფერი გაზიმზიმებულ გაწკრიალებული, სუფრა უგემრიელესი საჭმელებითა და გემოვნებით გაწყობილი დახვდებოდა და რა დონის სტუმარიც გინდა ჰყოლოდა, არ შერცხვებოდა. თავაზიანი, სტუმართმოყვარე დიასახლისი კი შუბლგახსნილი და ხელგაშლილი დახვდებოდა მათ. ერთხელ, სტუმრების თანდასწრებით გასძახა თავჯდომარემ მოფუსფუსე მასპინძელს: – „მატრიკული“ წამოიღე, ქალო, „მატრიკული“, ფრიადი უნდა ჩაგიწეროო... კარგ მასპინძლობას თან ოჯახის პატარა სიხარულის თინიკოს მხატვრული შემოქმედებაც ერთვოდა და ასე მიდიოდა წლები, იზრდებოდნენ შვილები ოჯახის მაგალითზე მშრომლები და სტუმართმოყვარეები. გელამ თელეთის მექანიზაციის ტექნიკუმი დაამთავრა. კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადაში აღმრიცხველად მუშაობდა. კოლმეურნეობა რომ დაიშალა, როგორც ყველას, ამ ოჯახსაც გაუჭირდა, მაგრამ ერთმანეთის მხარში ამოუდცნენ, მეურნეობას მოეკიდნენ და თავის გატანა გაიადვილეს. მერე გელამ სახანძრო-სამაშველო სამსახურში დაიწყო მუშაობა. მძიმე, საპასუხისმგებლო, ხშირად ხიფათის შემცველი და სარისკო საქმეა, მაგრამ საპატიო, გადაარჩინო ადამიანის, თუნდაც ცხოველის, სიცოცხლე, ანდა ნაშრომნაამაგარი და დოვლათი, სიხარული მიანიჭო ადამიანებს, ცოტას არ ნიშნავს, – სიამაყით ამბობს გელა. ის ძალიან გონიერი, პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდაა. მას რომ მოუსმენ, მიხვდები, როგორი უნდა იყოს კაცი, შვილი, მამა, მეუღლე, როგორ უნდა გიყვარდეს შენი ქვეყანა, სოფელი, ოჯახი და გული შეგტკიოდეს ყველაფერზე. მეუღლეც შეფერებული ჰყავს. ეკა ბერიაშვილი სამრეკლოს საბავშვო ბაღის აღმზრდელ-მასწავლებელია და, მიუხედავად დაბალი ანაზღაურებისა, პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას. ორი ვაჟი ჰყავთ: ირაკლი და პაპის მოსახელე სულიკო. ორივემ პოლიტექნიკური უნივერსიტეტი დაამთავრა. ირაკლი „ქართუ ბანკში“ მუშაობს, სულიკო მეგამარკეტ „დომინოს“ მენეჯერია. საუკეთესო ოჯახი შექმნა ქალიშვილმაც. თინიკო თბილისში ცხოვრობს. ის პროფესიით ეკონომისტია, „ქართუ ბანკში“ მენეჯერის პოზოცია უკავია. მისი მეუღლე დავით გალუაშვილი „ქართუ ბანკის“ მმართველის მოადგილეა. ორი ქალიშვილი ჰყავთ - ნანა და თამარი. ნანამ ბენდუქიძის უნივერსიტეტი დაამთავრა, სამშენებლო კომპანია „არქიში“ მუშაობს, თამარი კი მესამეკურსელია. როგორც ვხედავთ, ყველა შრომობს, ყველას თავისი გზა აქვს არჩეული. ღმერთმა ხელი მოუმართოს ამ თბილსა და ტკბილ ოჯახს და აკმაროს ოჯახის უფროსის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი.

ნაირა გორაშვილი

## აშშ-ის თავდაცვის მდივნის მოადგილე - რუსული არმია სერიოზულად არის დაცლილი - ეს გავლენას ახდენს მის უნარზე, განახორციელოს ეფექტური სახმელეთო კამპანია უკრაინაში

უკრაინასთან ომში ყოველდღიურად 500-მდე რუსი ჯარისკაცი იღუპება და დაზიანებას იღებს, - ინფორმაციას აშშ-ის დაზვერვისა და სამხედრო ოფიციალურ პირებზე დაყრდნობით „ნიუ იორკ თაიმსი“ ავრცელებს.

„ვფიქრობ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რუსების მსხვერპლი ექვს თვეზე ნაკლებ დროში 70-80 000 ჯარისკაცს შეადგენს“, - განაცხადა აშშ-ის თავდაცვის მდივნის მოადგილემ პოლიტიკის საკითხებში, კოლინ კალმა, რომელმაც მსხვერპლში როგორც დაღუპულები, ასევე დაშავებულები იგულისხმა.

მისი თქმით, ოკუპანტებმა მცირე წარმატებებს მიაღწიეს აღმოსავლეთ უკრაინაში, მაგრამ ეს მათ ძალიან ძვირად დაუჯდათ უკრაინის შეიარაღებული ძალების მოქმედებებისა და მათთვის აღმოჩენილი დახმარების გამო. კოლინ კალმა ხაზი გაუსვა, რომ ასეთი დანაკარგები ნიშნავს, რომ რუსეთი წლის ბოლომდე ვერ შეძლებს უკრაინის აღმოსავლეთის აღებას.

სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრის საერთაშორისო უსაფრთხოების პროგრამების დირექტორის სეტ ჯონსის თქმით, მძიმე დანაკარგებმა მნიშვნელოვნად შეამცირა რუსული არმია და მისი ეფექტურობა ბრძოლის ველზე.

„რუსული არმია სერიოზულად არის დაცლილი. ეს გავლენას ახდენს მის უნარზე, განახორციელოს ეფექტური სახმელეთო კამპანია უკრაინაში“, - განაცხადა მან და დასძინა, რომ რუსები არ არიან საკმარისად ძლიერები იმისთვის, რომ სრულად აიღონ კონტროლი დონეცკის ოლქზე.

ამერიკელი და ევროპელი ოფიციალური პირების თქმით, რუსი სამხედროები მნიშვნელოვან ზარალს განიცდიან, მათთვის რთულია ბრძოლაში რეზერვისტების და ახალწვეულების მოზიდვა. რუსეთის ფედერაციამ უკვე ჩართო ომში თავისი არმიის თითქმის 85% და მან ჯარების მობილიზება ქვეყნის შორეული აღმოსავლეთიდან განახორციელა.

ნანა, ლელა, დოდო, ვარლამ ფიროსმანაშვილები, ჯულიეტა კოხტაშვილი ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ნანა და დავით სულაშვილების ოჯახს დედის

ციცინო სულაშვილის

გარდაცვალების გამო.

# დემნა ოზაშვილი ბარსელონას უნივერსიტეტში

**17 წლის დემნა ოზაშვილი საფეხბურთო კლუბ „ბარსელონას“ (FC Barcelona) უნივერსიტეტში 80%-იანი დაფინანსებით ჩაირიცხა. ის პირველი ქართველი სტუდენტია, რომელიც სპორტული მარკეტინგისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე ისწავლის. დემნა წარმოშობით დედოფლისწყაროდანაა. ის ზინა მასწავლებლის (თარაშვილის) შვილიშვილი და ვაჟა ოზაშვილის უფროსი შვილი გახლავთ.**

„დიდი მადლობა ყველას მხარდაჭერისთვის. 4 თვიანი კურსი დავხურე ბარსაში მარკეტინგის მიმართულებით, სადაც უმაღლესი შეფასებების საფუძველზე პრე-ბაკალავრის პროგრამას ჩემი საყვარელი კლუბის უნივერსიტეტში გავივლი, შემდეგ კი უკვე ბაკალავრს. მინდა ყველას გჯეროდეთ იმის, რომ ამ პატარა ქვეყნიდანაც შეგიძლიათ მიაღწიოთ ყველაფერს, რაზეც ოცნებობთ და შრომობთ, ათენებთ ღამეებს! ჰაერიდან არაფერი მოდის, ყველას შეუძლია გახდეს გამორჩეული! ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისია,“... - ასე მიმართავს დემნა მოტივირებულ ახალგაზრდებს.

„შირაქმა“ ექსკლუზიური ინტერვიუ ჩაწერა როგორც დემნასთან, ისე მის მშობლებთან და ბავშვობაში გამოვლენილ მის ინტერესებზე ესაუბრა.

ᲓᲔᲛᲜᲐ ᲝᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ: „უცხოელი მეგობრებისგან შევიტყვე, რომ ეს შესაძლებლობა არსებობდა და შესაძლებელი იყო ჯერ კურსის გავლა, შემდეგ უნივერსიტეტში ჩაბარება. მომიწია რამდენიმე გამოცდისა და ინტერვიუს გავლა. უკვე გავიარე წინასწარი კურსები და მოვიპოვე დაფინანსება, რაც ითვალისწინებს ბაკალავრის ერთწლიან კურსს, რომელსაც დისტანციურად გავივლი, შემდეგ კი სამწლიან კურსს, უშუალოდ ბარსელონაში. ლექციები ამერიკიდან ტარდებოდა, ამიტომ დროის სხვაობის გამო მიწევდა ღამეების თენება. საკმაოდ პატარა ასაკიდან დავიწყე დაინტერესება ამ სფეროთი და, ალბათ, ეს არის მთავარი მიზეზი, რომ მივაღწიე მიზანს. ამ ყველაფრის გავლის შემდეგ შესაძლებლობა მექნება საქმიანობა დავიწყო ჩემი საყვარელი კლუბის შიდა სტრუქტურაში, მარკეტინგისა და მენეჯმენტის მიმართულებით“.

ᲚᲘᲙᲐ ᲑᲣᲯᲐᲑᲘᲫᲔ, **დემნას დედა**: „ბავშობიდან შევაყვარე სპორტი, სამი წლიდან უკვე ფეხბურთს გულშემატკივრობდა. მეც და მამამისსაც ხშირად დაგვყავდა სტადიონზე, ფეხბურთის საგულშემატკივროდ. მესის და „ბარსას“ ფანია დღემდე... 5 წლის ასაკში სახლში თამაშების კომენტატორობა დაიწყო და ყველაფერს აანალიზებდა. კალათბურთზეც დადიოდა და 6 წელი კაპიტანი იყო. გეტყვით, რომ ამ შედეგის მისაღწევად ძალიან დიდი შრომა და მონდომება ჩადო და ბავშობის ოცნება აიხდინა. მჯერა, რომ პირველ რიგში ქართულ სპორტს და ქართულ ფეხბურთს გამოადგება... მე თვითონ ქართულ ფეხბურთს ბებიამ მაზიარა. სხვათაშორის, ბორის პაიჭაძეს შემახვედრა ბებიამ, რადგან ორივე ბავშვობის მეგობრები და ერთი ქალაქიდან, ფოთიდან იყვნენ წარმოშობით. მერე იტალიის ნაკრების ფანი გავხდი და ბაჯოს ვქომაგობდი, ღამეებს ვათევდი მსოფლიო ჩემპიონატების ყურებაში. ვქომაგობდი ქართულ ფეხბურთს, ქინქლაძეს, კახი კალაძეს და იმ გუნდს, რომელიც იმ პერიოდში ერთ-ერთი საუკეთესო ნაკრები იყო... ეს სიყვარული გადავეცი ჩემს შვილს. ბიძაჩემი ვახტანგ გაბუნია სტადიონზე მუშაობდა ინჟინრად და ხშირად მივდიოდით. ასევე ბურთით თამაში შევაყვარე, ჩამყავდა ეზოში და საათობით ვთამაშობდით ბურთს. მახსოვს, პატარა საფეხბურთო კარი



ვუყიდე და სახლში ვვარჯიშობდით. ნელ-ნელა უკვე შემოიჭრა „ბარსას“ და მესის სიყვარული. ამ ფაქტორმა უფრო გაუმძაფრა ფეხბურთისადმი ინტერესი. კითხვა ადრე დაიწყო და სპორტულ ინფორმაციას ეცნობოდა. პირველ კლასში, მსოფლიოს თითქმის ყველა ფეხბურთელის გვარი იცოდა.

**თავდაპირველად ჟურნალისტიკა უნდოდა, სერიოზულად იყო გატაცებული. ინტერნეტ გვერდიც ჰქონდა, სადაც ყველა საფეხბურთო მატჩის ანალიზს აკეთებდა, განიხილავდა, სპორტულ სტატიებს წერდა. კომენტატორობა ისე მოსწონდა, შეეძლო საათობით მჯდარიყო და თამაშების კომენტირება მოეხდინა. გუცაევის შესახებ სპეციალური წიგნიც გამოიცა და დემნამ თავისი წვლილი შეიტანა.** აქვს იდეები, ხედვები, თუ რა არის შესაცვლელი ქართულ ფეხბურთში. ამიტომ გადაწყვიტა, ისწავლოს მენეჯმენტი: როგორ მართოს გუნდი, როგორ დასახოს მიზნები, როგორ განახორციელოს ტრანსფერები, რომელიც მოგებას მოუტანს გუნდსაც და ფედერაციასაც. წლების წინ, საზოგადოებრივი მაუწყებლის სატელევიზიო პროექტის ფინალშიც მოხვდა, გადაცემაში „სიტყვების თამაში“. ვთვლი, რომ ძალიან დიდი წარმატებაა ბარსელონაში სწავლა. რასაც შრომობდა, დაუფასდა და მინდა, იმ ენთუზიაზმით გააგრძელოს სწავლა, როგორც დაიწყო. მიაღწიოს იმ მიზანს, რაც დასახული აქვს. ახლა მეთორმეტე კლასში გადავიდა, ამ ერთ წელს პრე-ბაკალავრს ონლაინ რეჟიმში გაივლის, როდესაც სკოლას დაამთავრებს, ბარსელონაში გაემგზავრება. ჩვენი სურვილია, ის ცოდნა და გამოცდილება, რასაც იქ შეიძენს, ქართულ სპორტს მოახმაროს. მე პატრიოტი ვარ და მინდა, ყველა ქართველი წარმატებული სტუდენტი დაუბრუნდეს სამშობლოს, თავის ქვეყანას მოახმარონ ის ცოდნა, რომელსაც უცხოურ უნივერსიტეტებში შეიძენენ.“




ᲕᲐᲟᲐ ᲝᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ, **დემნას მამა**: „მოხარული ვარ, რომ დემნა საფეხბურთო კლუბ „ბარსელონას“ უნივერსიტეტის ბაკალავრი გახდა სპორტული მარკეტინგის და მენეჯმენტის მიმართულებით, რაც გულისხმობს ერთი წლის განმავლობაში დისტანციურად სწავლებას (რადგან სკოლის დამამთავრებელ კლასშია), ხოლო შემდეგი სამი წლის განმავლობაში უკვე ადგილზე ბაკალავრის კურსის გავლას. დემნას არც პროფესიული არჩევანი და არც ეს წარმატება შემთხვევითი არ არის, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში იგი სისტემატურად იყო მსმენელი და ხშირად გამარჯვებულიც უეფას (ფეხბურთის ევროპული ასოციაციების კავშირი) ეგიდით ჩატარებული ონლაინ ღონისძიებების, რომელთა მიზანიც იყო მენეჯმენტის და მარკეტინგული უნარების ჩამოყალიბება, ასევე სპორტული ჟურნალისტიკის ჩვევების განვითარება. შედეგად, დემნამ ევროპის რამდენიმე წამყვანი უნივერსიტეტიდან (ამსტერდამი, პარიზი, ბერლინი, ბარსელონა), რომლებიც კავშირში არიან უეფას და ფიფას (ფეხბურთის მსოფლიო ასოციაციების კავშირი) შესაბამის უწყებებთან, მიიღო მოწვევა და არჩევანი გააკეთა ს.კ. „ბარსელონას“ უნივერსიტეტზე, სადაც ევროპის 25 სხვადასხვა ქვეყნის აბიტურიენტებთან დისტანციურ პაექრობაში საუკეთესო შედეგით მოიპოვა 80%-იანი დაფინანსება. დემნას ეს არჩევანი მისი მტკიცე პიროვნული გადაწყვეტილების გარდა, ნაწილობრივ იმითაც არის განპირობებული, რომ ადრეული ბავშვობიდან ოჯახის წევრების მეშვეობით (მამა, ბიძა, ბიძაშვილები, სხვები), მას ძალიან ხშირად უწევდა ურთიერთობა ქართული თუ უცხოური სხვადასხვა სპორტული ფენის ცნობილ წარმომადგენლებთან. სპორტი და ეკონომიკა, სპორტი და ბიზნესი დღეს განუყოფელი ცნებებია და მოხარული ვიქნები, თუ დემნა თავისი პროფესიული კარიერით გამოადგება ოჯახს, დარგს და, შესაბამისად, ქვეყანას“.

ᲘᲚᲘᲐ ᲛᲐᲠᲢᲧᲝᲤᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ


## ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ!

იყიდება ორ სართულიანი კერძო ბინა ქ.დედოფლისწყაროში, ალადაშვილის 1 შესახვევი №8, ფასი 40 000 $. თხოვნაა გამომეხმაურეთ რეალური მყიდველები. ჰამლეტ სულაშვილი - ტელ: 5 99 85 02 98.


## ᲣᲚᲝᲪᲐᲕᲔᲜ!



### ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲡ!

ჩემს საყვარელ დას – მზია გულაშვილ-ქოიავას და მის ოჯახს, გილოცავთ შვილიშვილის მარიამ ჯავახიშვილის წარმატებას – სკოლის ოქროს მედალზე დამთავრებას და ეროვნულ გამოცდებში უმაღლესი ქულების მიღებას.ჩვენს წარმატებულ მარიამს ვუსურვებთ ყველა ოცნების ასრულებას.

**ბებიები:**
ᲪᲘᲪᲝ ᲤᲘᲠᲝᲡᲛᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲚᲔᲘᲚᲐ ᲒᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

## ᲐᲛᲘᲜᲓᲘ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝ

| ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ 15.08 | | ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ 16.08 | | ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ 17.08 | | ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ 18.08 | | ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ 19.08 | | ᲨᲐᲑᲐᲗᲘ 20.08 | | ᲙᲕᲘᲠᲐ 21.08 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ᲓᲦᲔ | ᲦᲐᲛᲔ | ᲓᲦᲔ | ᲦᲐᲛᲔ | ᲓᲦᲔ | ᲦᲐᲛᲔ | ᲓᲦᲔ | ᲦᲐᲛᲔ | ᲓᲦᲔ | ᲦᲐᲛᲔ | ᲓᲦᲔ | ᲦᲐᲛᲔ | ᲓᲦᲔ | ᲦᲐᲛᲔ |
| 34° | 22° | 34° | 22 ° | 35 ° | 22 ° | 34 ° | 21° | 33° | 20 ° | 32 ° | 18 ° | 32 ° | 18° |


გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ᲘᲜᲒᲐ ᲨᲘᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
რედაქტორი **ᲜᲐᲘᲠᲐ ᲒᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ-ᲙᲝᲞᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ᲟᲣᲟᲣᲜᲐ ᲧᲐᲜᲩᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲘᲚᲘᲐ ᲛᲐᲠᲢᲧᲝᲤᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ (ჟურნალისტები); ᲔᲚᲖᲐ ᲮᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ (სტილისტ-მენეჯერი); ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲑᲔᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ (კორექტორი); ᲜᲐᲗᲔᲚᲐ ᲑᲝᲡᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ (ბუღალტერი); ᲜᲘᲐᲖᲘ ᲯᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ (ოფის-მენეჯერი); ᲛᲖᲘᲐ ᲥᲔᲜᲥᲐᲫᲔ (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-09-24-65 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.